პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 44-ე წელი | № 265 (12777) | ხუთშაბათი, 14 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ადამიანი და კოლექტივი

ჩვენი პარტია პირველად ისტორიაში წყვეტს ახალი ადამიანის, კომუნისტური მორალის ადამიანის აღზრდის ამოცანას, ადამიანისა, რომელიც თავისუფალი იქნება წარსულის მავნე გადმონაშთებისაგან. ეს ძალიან რთული საქმეა, მაგრამ საბჭოთა ხალხს ღრმად სჯერა, რომ პარტიის დიდი გარდამქმნელი ძალით ყოველი ადამიანი ახლო მომავალში აუცილებლად გახდება ისეთი, როგორიც კომუნისტურ საზოგადოებას შეეფერება. უფრო მეტი. ასეთი ადამიანები უკვე დღეს, ჩვენს თვალწინ იბადებიან. კომუნისტური ცხოვრება და შრომა ახლა მილიონობით საბჭოთა ადამიანის მოღვაწეობის კანონად იქცა. კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში ჩაწერილი სიტყვები თავის დევიზად გაიხადა ჩვენი რესპუბლიკიდან კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის 300 ათასზე მეტმა მონაწილემ. კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის წოდებას ატარებს 4.685 ბრიგადა, 368 საამქრო, 33 სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმო, 25 ათასზე მეტი მუშა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, რომელმაც პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები განიხილა, ახალი ადამიანის სრულყოფის ერთ-ერთ ძირითად პირობად წამოაყენა შრომითი აღზრდა, ყველა ადამიანისათვის შრომის სიყვარულის ჩანერგვა.

ხელმძღვანელობენ რა პარტიის ამ მითითებით, თბილისის ლენინის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის დედაზრს შეადგენს ის, რომ თვითეულ საბჭოთა ადამიანს ჩაუნერგონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი სიყვარული და პატივისცემა. ამას სასურველი შედეგიც მოსდევს. მარტო ის რად ღირს, რომ აქ 76 საამქროსა და უბანს, 398 ბრიგადას მინიჭებული აქვთ კომუნისტური შრომის სახელი, 1.200-ზე მეტი კაცი კომუნისტური შრომის დამკვრელია, ხოლო 212 საამქრო და უბანი, 16 საწარმო და 498 ბრიგადა ამ საპატიო სახელის მოპოვებისათვის იბრძვის!

ეშმარიტად დიდია კომუნისტური შრომის კოლექტივების აღმზრდელობითი ძალა. ჯერ ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი ცხოვრობს და შრომობს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მიხედვით. მაგრამ ამ მოკლე ხანში კომბინატი უფრო მაღალორგანიზებულ საწარმოდ გადაიქცა, შესამჩნევად შეიცვალა მუშების დამოკიდებულება მორალურ-ეთიკური ხასიათის საკითხებისადმი, გაიზარდა მათი სწრაფვა სწავლისადმი, ყოველი მათგანის ცხოვრება, ფიქრები, სიხარული და საზრუნავი მუდმივად დგას მთელი კოლექტივის ყურადღების ცენტრში.

შრომითი კოლექტივი, მისი მრავალფეროვანი ცხოვრება და მუშაობა ახალი ადამიანის აღზრდის შესანიშნავი სკოლაა. ჭიათურის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ორმოცდაათამდე გზასაცდენილი ადამიანი დააყენა ფეხზე. მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში უმთავრესად მუშათა კოლექტივს ეყრდნობა, ადამიანებთან დაახლოების, მათი აღზრდა-გამოწრთობის ბევრი კარგი ხერხი და ფორმა გამონახა.

კიდევ ბევრ კონკრეტულ მაგალითზე შეიძლება ვაჩვენოთ, თუ როგორ იყენებენ პარტიული ორგანიზაციები კოლექტივის, საზოგადოებრივი აზრისა და დადებითი მაგალითის ძალას წარსულის გადმონაშთებთან, ჩამორჩენილ გაწყობილებებთან ბრძოლაში, მაღალი კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით ადამიანის აღსაზრდელ მუშაობაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგან გაურბიან ცხოვრებაში გზასაცდენილ პირთა სამუშაოდ მიღებას და მათ აღზრდას, ავიწყდებათ, რომ კოლექტივი მკაცრი და ბრძენი აღმზრდელია.

ადამიანთა აღზრდა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ წარმატებას სწორედ იქ აღწევენ, სადაც ყოველდღიურად ზრუნავენ ადამიანთა აღზრდაზე. მაგრამ ცოტა როდია ისეთი ხელმძღვანელიც, რომელსაც უნარი არ შესწევს, ან არ სურს თავი შეიწუხოს ადამიანებთან მუშაობით და დარწმუნების ნაცვლად მასობრივად დასჯას მიმართავს. ტყვარჩელის № 2 შახტი წლითიწლობით ვერ ასრულებს გეგმებს. და ეს იმიტომ, რომ შახტის ხელმძღვანელობა ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას შიშველ ადმინისტრირების მეთოდებს ამჯობინებს. მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში აქ 720 კაცს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, ხოლო 45 მეშახტის შესახებ საქმე ამხანაგურ სასამართლოს გადაეცა.

კომუნიზმის მშენებლობის წარმატება, ჩვენი სამშობლოს ძლიერება, ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებულია თვითეული ადამიანის შრომითს საქმეებზე, რადგან კომუნიზმი მილიონთა შრომით შენდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ყოველი გეგმის წარმატებით შესრულების ყველაზე საიმედო გზაა კოლექტივში ადამიანთა კარგად დაყენებული აღზრდა, მათთან ცოცხალი ურთიერთობა, მათთვის გულისხმიერი ზრუნვა. საბჭოთა ადამიანი გულგრილად ვერ შეხედავს იმას, თუ როგორ შრომობენ მისი ამხანაგები, როგორ ეპყრობიან თავიანთ საქმეს. კოლექტივი თვითეულს უნდა ეკითხებოდეს: რა წვლილი შეაქვს მას კომუნისტური სიუხვის შექმნაში. საჭიროა ყოველი მუშაკი პასუხისმგებლობას გრძნობდეს კოლექტივის წარმატებებისათვის, ხოლო კოლექტივი — თვითეული მუშაკის ბედისათვის. საჭიროა ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება, მხარი დავუჭიროთ ყოველ ახალ თაოსნობას, შეურიგებელად ვიბრძოლოთ ახლისა და პროგრესულისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების წინააღმდეგ, დავრაზმოთ საზოგადოებრიობის მთელი ძალები ცხოვრების მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემდგომ უნდა განვავითაროთ მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, იდეური ზემოქმედების ყველა საშუალებით დავნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება საზოგადოებრივი სიმდიდრისადმი, ყოველდღიურად აღვზარდოთ ადამიანები კოლექტივიზმის სულისკვეთებით.

შრომა მთავარი აღმზრდელია, მაგრამ პარტიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ ადამიანთა აღზრდის ბევრი ისეთი გამოცდილი და ჭკვიანი ბერკეტები, როგორიც არის კრებები, საწარმოო თათბირები, ძირეული პრესა, თვალსაჩინო აგიტაცია, ნოვატორთა საბჭოები, ამხანაგური სასამართლოები და სხვ. თუ უნარიანად გამოვიყენებთ ამ და სხვა საშუალებებს, მაშინ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ უფრო მოვიგებთ თვითეული ადამიანის გულს, დავეუფლებით მათს გონებას, აღვაფრთოვანებთ მათ სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის.

ამ დღეებში გამოქვეყნდა ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ. იმ ფაქტს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი განიხილავს ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი დიდი კმაყოფილებით შეხვდა. მათ შეაქვთ საყურადღებო წინადადებანი, ეძიებენ ქიმიის ფრონტზე მაგალითის ძალას წარსულის გადმონაშთებთან, ჩამორჩენილ გაწყობილებებთან ბრძოლაში, მაღალი კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით ადამიანის აღსაზრდელ მუშაობაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგან გაურბიან ცხოვრებაში გზასაცდენილ პირთა სამუშაოდ მიღებას და მათ აღზრდას, ავიწყდებათ, რომ კოლექტივი მკაცრი და ბრძენი აღმზრდელია.

ადამიანთა აღზრდა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ წარმატებას სწორედ იქ აღწევენ, სადაც ყოველდღიურად ზრუნავენ ადამიანთა აღზრდაზე. მაგრამ ცოტა როდია ისეთი ხელმძღვანელიც, რომელსაც უნარი არ შესწევს, ან არ სურს თავი შეიწუხოს ადამიანებთან მუშაობით და დარწმუნების ნაცვლად მასობრივად დასჯას მიმართავს. ტყვარჩელის № 2 შახტი წლითიწლობით ვერ ასრულებს გეგმებს. და ეს იმიტომ, რომ შახტის ხელმძღვანელობა ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას შიშველ ადმინისტრირების მეთოდებს ამჯობინებს. მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში აქ 720 კაცს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, ხოლო 45 მეშახტის შესახებ საქმე ამხანაგურ სასამართლოს გადაეცა.

კომუნიზმის მშენებლობის წარმატება, ჩვენი სამშობლოს ძლიერება, ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებულია თვითეული ადამიანის შრომითს საქმეებზე, რადგან კომუნიზმი მილიონთა შრომით შენდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ყოველი გეგმის წარმატებით შესრულების ყველაზე საიმედო გზაა კოლექტივში ადამიანთა კარგად დაყენებული აღზრდა, მათთან ცოცხალი ურთიერთობა, მათთვის გულისხმიერი ზრუნვა. საბჭოთა ადამიანი გულგრილად ვერ შეხედავს იმას, თუ როგორ შრომობენ მისი ამხანაგები, როგორ ეპყრობიან თავიანთ საქმეს. კოლექტივი თვითეულს უნდა ეკითხებოდეს: რა წვლილი შეაქვს მას კომუნისტური სიუხვის შექმნაში. საჭიროა ყოველი მუშაკი პასუხისმგებლობას გრძნობდეს კოლექტივის წარმატებებისათვის, ხოლო კოლექტივი — თვითეული მუშაკის ბედისათვის. საჭიროა ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება, მხარი დავუჭიროთ ყოველ ახალ თაოსნობას, შეურიგებელად ვიბრძოლოთ ახლისა და პროგრესულისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების წინააღმდეგ, დავრაზმოთ საზოგადოებრიობის მთელი ძალები ცხოვრების მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემდგომ უნდა განვავითაროთ მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, იდეური ზემოქმედების ყველა საშუალებით დავნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება საზოგადოებრივი სიმდიდრისადმი, ყოველდღიურად აღვზარდოთ ადამიანები კოლექტივიზმის სულისკვეთებით.

შრომა მთავარი აღმზრდელია, მაგრამ პარტიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ ადამიანთა აღზრდის ბევრი ისეთი გამოცდილი და ჭკვიანი ბერკეტები, როგორიც არის კრებები, საწარმოო თათბირები, ძირეული პრესა, თვალსაჩინო აგიტაცია, ნოვატორთა საბჭოები, ამხანაგური სასამართლოები და სხვ. თუ უნარიანად გამოვიყენებთ ამ და სხვა საშუალებებს, მაშინ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ უფრო მოვიგებთ თვითეული ადამიანის გულს, დავეუფლებით მათს გონებას, აღვაფრთოვანებთ მათ სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის.

რუსთავის ქიმიკოსთა შრომითი ვახტი

გავზრდით პროდუქციის წარმოებას

— მივცეთ სამშობლოს მეტი ქიმიური პროდუქცია — ამ ლოზუნგით ჩაედება ახლა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. გავეცინით რა ცნობას პლენუმის მოწვევის შესახებ, ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები გუშინ ერთხელ კიდევ შევიკრიბეთ მთავარი ინჟინერის კაბინეტში და საბოლოოდ მოვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ გავზარდოთ ახალი პროდუქციის — კაპროლაქტამის წარმოება, როგორ მივადწიოთ ყოველდღიური გეგმის შესრულებას.

მივიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება, რომ პლენუმისათვის მზადების დღეებში ყოველდღიურად გამოვუშვათ 4-5 ტონით მეტი კაპროლაქტამი, ვიდრე ამჟამად ვუშვებთ. და განა მარტო კაპროლაქტამის წარმოების გადიდებით არის დაინტერესებული ქარხნის კოლექტივი! ნოემბრის 12 დღეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათასობით ტონა მინერალური სასუქები. მომავალ წელს საგრძნობლად გავზრდით სასუქების წარმოებას. ამით ჩვენს დიდ წვლილს შევიტანთ არა მარტო ქიმიური მრეწველობის განვითარებაში, არამედ სახალხო მეურნეობის შემდგომ წინსვლაშიც.

გ. ძამანაშვილი,
რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის საწარმოს უფროსი.

შევამჭიდროვებთ მშენებლობის ვადებს

ჩვენი სამონტაჟო სამმართველო ძირითადად ქიმიური ობიექტების მშენებლობაზე მუშაობს. ამ რამდენიმე ხნის წინათ მემონტაჟეებმა წარმატებით დაამთავრეს კაპროლაქტამის საწარმოს რთულ დანადგარ-მოწყობილობათა მონტაჟი და დიდი როლი შეასრულეს ქართული კაპროლაქტამის მიღებაში.

ამჟერად ჩვენი სამმართველოს მემონტაჟეები მეორე დიდი ქიმიური ობიექტის — რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე მუშაობენ. როგორც ცნობილია, ეს ახალი ქიმიური ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ გამოუშვებს სინთეზურ ძაფსა და კორდს, რომელიც ესოდენ ძვირფას ქიმიურ პროდუქციას წარმოადგენს.

მემონტაჟეთა უბანი, რომელსაც ა. პლეშენკო ხელმძღვანელობს, ახლა ფართო მასშტაბით აწარმოებს კორდის საამქროს დანადგარ-მოწყობილობისა და მილების მონტაჟს. მომავალ წელს მიღებულ უნდა იქნას ქიმიური პროდუქცია — კორდი, რომელსაც ავტოსაბურავებისა და თვეზსაჭერი ბადეების მოსაქსოვად იყენებენ. ამ ძვირფასი პროდუქციის მიღება, რომ დაჩქარდეს, აგრეთვე წარმატებებით რომ შეეხვედეთ დეკემბრის პლენუმს, ჩვენ, მემონტაჟეებმა, „გადავწყვიტეთ წელს ძირითადად დავამთავროთ კორდის საამქროს სამონტაჟო სამუშაოები და სამუშაო ფრონტი დაეუთმოთ ქიმიკოსებს პროდუქციის მიღებისათვის საჭირო სამუშაოთა საწარმოებლად.

ვ. იმნაძე,
რუსთავის „მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველოს უფროსი.

ახალი ქიმიური პროდუქცია

ცნობამ იმის შესახებ რომ, წელს დეკემბერში მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებს, უდიდესი ინტერესი გამოიწვია რუსთავის ქიმიკოსებს შორის. ამონიუმის სულფიტის საამქრო, რომელიც ახლახან ჩადგა მწყობრში, დიდი შრომითი წარმატებებით ეგებება პლენუმს. ჩვენი საამქროს კოლექტივმა შედარებით მოკლე დროში შეძლო აეთვისებინა ისეთი ძვირფასი მინერალური სასუქის წარმოება, როგორიც არის ამონიუმის სულფატი.

მუშაობის პირველი შედეგები კარგია. ახლო მომავალში შევძლებთ მთლიანად აკვიეთოთ საამქროს საპროექტო სიმძლავრე და მივცეთ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას ათასობით ტონა მინერალური სასუქები.

ლ. ჩარკვიანი,
რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ამონიუმის სულფატის საამქროს ცვლის უფროსი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

შრომითი გამარჯვებების პატარა

კარტოფილი, ბოსტნეული...

კამჩატკის ოლქის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა. ოლქის მეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაუმატეს 1.018 ათასი ცენტნერ კარტოფილი და 10,9 ათასი ტონა ბოსტნეული და ხვნებით ... კამჩატკის მშრომელები ამ პროდუქტებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მშრომელებს მადლობა გადაუხადეს წარმატებისა.

იაროსლავლელთა წარმატება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიუღოცეს შრომითი წარმატება იაროსლავლის ოლქის მშრომელებს: მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 2 მილიონ 276 ათასი ფუთი მარცვალი, რაც გეგმაზე 184 ათასი ფუთით მეტია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ

ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

სილნაღის საწარმოო სამმართველოში შემავალი სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნიკო ყოჩიაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ ჯაფარიძელები სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან საქართველოს კპ XXII ყრილობას. გაასუქეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.010 ღორი და ამით სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას 10 ღორით გადააჭარბეს.

აჭარაში ციტრუსების მასობრივი კრეფა გაჩაღდა. მანდარინის კარგი მოსავალი მოიყვანეს წელს ახალშენის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში. სურათზე: მანდარინის კრეფა საბჭოთა მეურნეობაში. წინა პლანზეა მკრეფავი გული სულუხია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲣᲛᲠᲔᲑᲘ

თბილისში ჩამოსული კენიის ეროვნული კავშირის პარტიის დელეგაცია 13 ნოემბერს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს რ. რ. დვალს.

კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის გენერალური მდივნის მოადგილობის შემსრულებელ ბუროდი ნაბვერასთან ერთად ვიზიტზე იყვნენ სენატორი, სენატის სპიკერის მოადგილე ჯ. კებასო, მომბასის მერი ბ-ნი კომბო, პარლამენტის წევრები მ. ობმეხე, ს. ს. ი. გოდია, ჯ. კ. ნდიეე, ა. უ. კანგერი, ე. კ. კ. ბომბეტი, ბ. მაისორი, ჯ. ნ. კიბეგა, ჯ. ლ. ნ. კოხერლო, კენიის უხუცესი პოლიტიკური მოღვაწე ჯ. ნ. ბიუტა, კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის რაიკომის თავმჯდომარე ჯ. უ. კაოია, რაიკომის წევრი კ. ა. ფატუმა, აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის კაიტობის ქალთა განყოფილების ხაზინადარი მ. ბუსორო, სენატორები ბ. ბ. კაგო და ს. ნიაგალი.

სტუმართა თხოვნით რ. რ. დვალმა გააცნო მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილება, რესპუბლიკის წარმატებანი, რაც მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

დელეგაციის წევრებმა დაწვრილებით გამოიკითხეს, თუ როგორ ვითარდება სოფლის მეურნეობა, მისცეს მთელი რიგი შეკითხვები კოლმეურნეობათა მუშაობის, კოლმეურნეთა ცხოვრებისა და შრომის პირობების შესახებ.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სავარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. გ. სტურუამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაკაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ზ. ბ. გელდიაშვილმა, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ს. ტრაპაძემ.

ვიზიტს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ბ. ბ. აბაშიძე, საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ჯ. ნ. ლომაშვილი, რომელიც დელეგაციას ახლავს.

კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის დელეგაცია ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს რ. რ. დვალს

სსრ საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკი ა. კ. გურიანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი აფრიკის განყოფილების პირველი მდივანი ვ. ა. კოდაკოვი, საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის სტუმართმოყვარეობით ხვდებიან და ეს გამოხატავს საბჭოთა ადამიანების მეგობრულ გრძნობებს, ღრმა პატივისცემას ინდონეზიელი ხალხისადმი. (საქდესი).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲡ

მოსკოვი, 12 ნოემბერი. (საქდესის კორ.). გამოფენა, რომელიც დღეს მოსკოველმა ჟურნალისტებმა დაათვალიერეს, უჩვეულოა. უჩვეულოა იმით, რომ მისი ეგზისტენციები — მ. სარიანის, ს. გეგასიმოვის, პ. კორინის, გ. ნისსკის, ა. პლასტოვის, ვ. სეროვის, პეიზაჟები, ვ. ფავორსკის გრაფიკა, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა შესანიშნავი ნამუშევრები — მხოლოდ მცირე ნაწილია მომავალ სრულიად საკავშირო პირველ სამხატვრო ლატარიის მოგებებისა. ორი მილიონი მანეთი ღირებულების ფერწერის, ქანდაკების გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნების 20 ათასი ნაწარმოები — ასეთია ამ ლატარიის თავისებური სიმდიდრე. იგი შესაძლებლობას ქმნის ეშეშრატი ხელოვნების ნაწარმოებები გავრცელდეს მშრომელთა სახლებსა და ბინებში.

ᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲪᲐᲛᲔᲢᲘ

გეგეჭკორის რაიონის ნორიოს კოლმეურნეობაში საშუალოდ ერთ დედაღორზე მიღებულია 13 გოჭი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული ათისა. წარმატებით შესრულებულია ღორის სულადობის გეგმა. ჰყავთ 874 ღორი ნაცვლად 580 სულისა. აწარმოეს 200 ცენტნერზე მეტი ხორცი.

კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს ცალკეულმა მეღორეებმა. მაგალითად, **ნ. თოფურიამ** 10 დედაღორიდან 9 თვეში თვითეულზე მიიღო 15 გოჭი.

ი. თოფურია,
სოფლკორი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲒᲐᲛᲨᲕᲔᲑᲘ“

აქ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა 100,1 პროცენტით შესრულეს. განვლილ პერიოდში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 8.000 მანეთი ეკონომია.

თბილისის პლასტმასის ქარხანა. საწარმომ ათი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 333.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. განვლილ პერიოდში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ გეგმით გათვალისწინებულს 44.000 მანეთით გადააჭარბა, შრომის ნაყოფიერების ზრდამ 101,6 პროცენტი შეადგინა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

იმის გამო, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის შემადგენლობას გაუვიდა რწმუნებათა ვადა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ამ კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

კომიტეტის თავმჯდომარე — **ბიხონოვი ნიკოლოზ სიმონის-ძე**
თავმჯდომარის მოადგილე — **ხრენიკოვი ტიხონ ნიკოლოზის-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **აჯუბეი ალექსი ივანეს-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **ანიკუშინი მიხეილ კონსტანტინეს-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **გერასიმოვი სერგი აპოლინარის-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **გონჩარი ალექსანდრე ტერენტის-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **რომანოვი ალექსი ვლადიმერის-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **სატიუკოვი პავლე ალექსის-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **სმირნოვი ბორის ალექსანდრეს-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **ფედინი კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე**
პრეზიდიუმის წევრი — **ფურცევა ეკატერინე ალექსის ასული**
პრეზიდიუმის წევრი — **ხოჯაევი ალიმ**
სწავლული მდივანი — **ვასილიევი იგორ ივანეს-ძე.**

ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ

აბაშიძე ირაკლი ბესარიონის-ძე პოეტი (საქართველოს სსრ)
აბდულაევი მიკელ ჰუსეინ-ოღლი სსრ კავშირის სახალხო მხატვარი (აზერბაიჯანის სსრ)
აიტმატოვი ჩინგიზ მწერალი (ყირგიზეთის სსრ)
ანისიმოვი ივანე ივანეს-ძე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, ლიტერატურათმცოდნე
ბალსისი ედუარდას კოსტა ლიტვის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი
ბატალოვი ალექსი ვლადიმერის-ძე კინომსახიობი
ბელოგუროვი ნიკოლოზ კონდრატის-ძე გაზეთ „პრავდა უკრაინი“-ს მთავარი რედაქტორი
ბოგდესკო ილია ტროფიმეს-ძე სსრ კავშირის სახალხო მხატვარი (მოლდავეთის სსრ)
ბოჟი მიხეილ მიხეილის-ძე სსრ კავშირის სახალხო მხატვარი (უკრაინის სსრ)
ბონდარჩუკი სერგი თევდორეს-ძე სსრ კავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი
ბამზატოვი რასულ გამზატის-ძე პოეტი (დაღესტნის ასსრ)
ბერასიმოვი სერგო ვასილის-ძე სსრ კავშირის სახალხო მხატვარი
ბლეგაა პეტრე თევდორეს-ძე პოეტი (ბელორუსიის სსრ)
გრეშნევი ივანე დიმიტრის-ძე სოციალისტური შრომის გმირი, მოსკოვის ალუმინის შენადნობთა ქარხნის მდნობელი
გრიბაჩოვი ნიკოლოზ მათეს-ძე მწერალი
გრიგულისი არვიდ პეტრეს-ძე მწერალი (ლატვიის სსრ)
გროშევა ელენე ანდრიას ასული მუსიკისმცოდნე
დანელიური კონსტანტინე თევდორეს-ძე სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი (უკრაინის სსრ)
ესენბაევი ზიათ ისლამის-ძე უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე
ერნესაძსი გუსტავ გუსტავის-ძე სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი (ესტონეთის სსრ).
ვიქტოროვი ალექსი ვასილის-ძე „გაზ-1“-ის ბრიგადირ-ზენაკალი
ვუჩეტიჩი ევგენი ვიქტორის-ძე სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, მოქანდაკე
ზავადსკი იური ალექსანდრეს-ძე სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რეჟისორი
ზაიცევი ევგენი ალექსის-ძე ბელორუსიის სსრ სახალხო მხატვარი
ზარიანი ნაირი ეგიაზარის-ძე მწერალი (სომხეთის სსრ)
თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის-ძე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი
თურსუნ-ზადე მირზო მწერალი (ტაჯიკეთის სსრ)

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სახალხო დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ბენ ბელამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს გამოუგზავნა საპასუხო დეპეშა, რომელშიც მადლობას უხდის მოლოცვისათვის, რაც მათ გაუგზავნეს ალჟირის ხალხის ეროვნული დღესასწაულის გამო.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ ალჟირელი ხალხი, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვა ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და მტკიცედ განაგრძობს ბრძოლას ახალი საზოგადოების აშენებისათვის, დიდად აფასებს იმ მხარდაჭერას, რასაც მას ყოველთვის უწევენ საბჭოთა კავშირის ხალხები. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡᲐᲨᲘ

ბუდაპეშტი, 12 ნოემბერი. (საკდესი). უნგრეთში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მიწვევით, იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიული მუშაკების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეკვანაძე. დღეს საბჭოთა სტუმრები შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებების გამგეებს იოჟეფ შანდორსა და იშტვან სურდის, რომლებმაც უამბეს მათ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ორგანიზაციის შესახებ, პარტიულ-მასობრივი მუშაობისა და მრეწ

მსჯელობენ ლანჩხუთელი კომუნისტები

ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კონფერენციაზე

დარბაზში დელეგატების საქმიანი საუბარია. სასაუბრო კი ბევრი აქვთ კომუნისტებს. თუმცა ერთ წელზე ნაკლები დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ლანჩხუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი შეიქმნა, დელეგატები აი უკვე თავიანთ მეორე კონფერენციაზე შეიკრიბნენ. ისინი განიხილავენ პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ ახლებურად მუშაობის პირველ შედეგებს, აყენებენ მომავალი მუშაობის პრაქტიკულ წინადადებებს.

რაზე ამახვილებენ უმთავრესად ყურადღებას?

მეტად ფართოა საკითხების წრე, რომლებიც კონფერენციის მონაწილეებს აღელვებს. ვაწარმოოთ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, იდეურად გამოვაწრთოთ ახალი ადამიანი, არა გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა, ყველა ხვრელი დაუფაროთ მუქთახორებს, წამგლეჯებს, დავამტკიცოთ თვითეული პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა! ეს და სხვა საკითხები მოწოდებასავით გაისმის თითქმის ყველა დარბაზში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შემდინარეობის შესახებ მოხსენებით გამოდის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი დ. საბაშვილი.

მომხსენებელსა და კამათის მონაწილეებს მოჰყავთ იმის მრავალი კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ წარიმართა სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი ენერგია მთავარი მიზნისაკენ — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისაკენ. ამაზე განსაკუთრებით ლაპარაკობენ მამათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. შევარდნაძე, აცანის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი გ. ცანავა, ნიგოითის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მუკელაძე.

საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა მიმდინარე წლის სეზონში ნაცვლად 9.395 ტონისა სახელმწიფოს 10.950 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული რომ მიჰყიდეს, ეს ნათლად მეტყველებს სოფლის მშრომელთა აქტივობის ზრდაზე. ჩაის სარკეკრდო მოსავალი მოიყვანეს ქვემო აკეთის, მამათის, აცანის, ჯანჯათის და სხვა სოფლების სასოფლო-სამეურნეო არტელებმა.

სამმართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში სიმინდის კარგი მოსავალიც მიიღეს. მნიშვნელოვნად გადიდდა დაფნის ფოთლის, ტუნგოს მოსავლიანობა და აბრეშუმის პარკის გამოსავლიანობა, ამ პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვა. მაგრამ კონფერენციაზე მკაცრად აკრიტიკებენ ლანჩხუთის, ჩიბათის, ახალსოფლის კოლმეურნეობათა გამგეობებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს სიმინდის ძალიან დაბალი მოსავლის მიღებისათვის.

დელეგატები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მიმდინარე წელს გაუმჯობესდა ბრუნვა ისეთი მნიშვნელოვანი დარგისათვის, როგორიც საზოგადოებრივი მეცხოველეობაა. წინათ ეს დარგი თითქმის თავმიხებებული იყო. მეცხოველეობის ფერმებში ამჟამად ცხარე დღეებია, იბრძვიან იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში შესრულდეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. მაგრამ ამ მხრივ ლანჩხუთის, ლესის, კეთილარის კოლმეურნეობები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან, მათ გასულ წელთან შედარებით შეამცირეს რძის წარმოება.

მომხსენებელი და კამათის მონაწილე დელეგატები საყვედურს გამოთქვამენ „კოლხიდმშენის“ მუშაკების მიმართ. მათ მინდობილი აქვთ კოლხიდის დაბლობა მიწების დაშრობის სამუშაოები, მაგრამ ამ მხრივ ძალიან ცოტას აკეთებენ. სამუშაოებს ასრულებენ მხოლოდ „თანხების ათვისების“ მიზნით და ყურადღებას არ აქცევენ გაყვანილი არხების საექსპლოატაციოდ გადაცემას, რის გამო არხები ხელმეორედ გასაწმენდი ხდება. მიწები, რომლებზეც ჩაის პლანტაციები უნდა გაშენებულიყო, დაჯაობებულია და ძალი ათვისება შეუძლებელია დაუშრობლად.

კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება განსაკუთრებით წარმართა შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცების პრაქტიკულ საკითხებზე.

— შეუწყნარებელია, — ამბობენ ისინი, — რომ კეთილარის კოლმეურნეობაში შრომისუნარიან კოლმეურნეთა 70 პროცენტს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, ხოლო მათგან თითქმის ნახევარი ახლოსაც არ ეკარება არტელს. ანალოგიური მდგომარეობაა ლანჩხუთის, ნინოშვილის, ხიდმაღალას კოლმეურნეობებში, სადაც საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები საჭირო ზომებს არ იღებენ უქნარების დასასჯელად.

მოჰყავთ ასეთი ფაქტიც. ლანჩხუთის კოლმეურნეობაში ბუხჰალტერმა კუკულაძემ და მისმა ხელმძღვანელობამ საზოგადოებრივი ქონების მითვისების მიზნით მთელი რიგი კომბინაციები მოაწყეს კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტორგანიზაციის თვალწინ.

— ადამიანთა იდეური წრთობა წარმატების გასაღებია, — ამბობენ დელეგატები და განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმ მუშაობას, რასაც საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი ეწევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. იდეოლოგიური მუშაობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, ახალი ფორმებითა და მეთოდებით გამდიდრდა. მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ქსელში 1500 კაცით მეტი სწავლობს, ვიდრე შარშან. მაგრამ ამ მხრივ კიდევ ერთიოლენი ნაკლოვანებებია. ვანის, ზომლეთის, ზემო აკეთის და სხვა კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში საგზაო მუშაობა მოწოდების დონეზე ვერ დგას. ლექციურ პროპაგანდას ყურადღება არ ემცევა.

კამათის მონაწილე, საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ღლონტი აღნიშნავს, რომ ახალსოფლის, წყალწმინდის, კეთილარის კოლმეურნეობებში კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობა ჩაშლილია იმის გამო, რომ ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები განზე უდგანან ამ საქმეს.

დელეგატების გამოსვლებში კი საერთო ის არის, რომ პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნამ ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მაგალითზე პირველი კეთილი ნაყოფი გამოიღო. საჭიროა მომავალი მუშაობისათვის გათვალისწინებულ იქნას ყველა კრიტიკული შენიშვნა და წინადადება, რაც კონფერენციაზე წამოაყენეს.

დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი და არჩეულ იქნენ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ამხ. ი. ჩხეიკვიშვილმა.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიული ცხოვრება

...იზრდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა სკკპ პროგრამისა და წესდების განხორციელებისათვის, ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, მორალური კოდექსის პრინციპების განხორციელებისათვის, თითოეული საბჭოთა ადამიანის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

ქრონიკები

ყრილობის ორი წელი

ამას წინათ აყაბეგში რაიონის პარტიული ორგანიზაციის გაფართოებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიძღვნილი იყო სკკპ XXII ყრილობის დაწყებისადმი.

სესიაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის [illegible]

ა. კაზალიკაშვილი,
პარტიის აყაბეგის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.

პოლიტიკური განათლების ახალი კერა

თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა პოლიტიკური განათლების კაბინეტი. მას ინჟინერი ვ. ოსფაშვილი ხელმძღვანელობს.

კაბინეტი მდიდრდება პოლიტიკური, მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურით. გამოკრულია დიაგრამები და პლაკატები, ეწყობა თემატური გამოფენები. იმართება კონსულტაციები სკკპ ისტორიის, პოლიტეკონომიის ცალკეულ საკითხებზე.

გ. კიკნაძე.

ზეპირი ჟურნალი

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიურმა განყოფილებამ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ჭიათურის განყოფილებამ განახორციელეს მეტად საინტერესო ღონისძიება, რომელსაც ეწოდა ზეპირი ჟურნალი — „მინდა ყველაფერი ვიცოდე“.

ზეპირი ჟურნალის მონაწილეებმა მოისმინეს საუბრები: ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ე. სხირტლაძისა — „ჭიათურა ახლო მომავალში“, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. ძველაიასი — „საქართველოს გეოლოგიური ისტორიის წარსულიდან“, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორ ს. ცომაიასი — „ქართული თეატრის საოთაეებთან“ და სხვა საუბრები.

ბ. გაფრინდაშვილი,
საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

ექსპონატები მოგვითხრობენ...

სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმმა მოაწყო ეკსპედიცია ზნაურის რაიონში.

რაიონულ ცენტრში მუზეუმის 300-მდე ექსპონატი იქნა გამოფენილი.

საინტერესო სანახავი იყო ექსპონატები: „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1917-1921 წლებში“, „სამხრეთ ოსეთი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ომისწინა ხუთწლედების პერიოდში“.

რევოლუციამდელი პერიოდის მასალები მოგვითხრობდნენ ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობაზე, ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ექსპედიციის წევრებმა წაიკითხეს ლექციები თემებზე: „სამხრეთ ოსეთის ბუნებრივი სიმდიდრენი“, „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“ და სხვ.

ექსპედიციის მონაწილეებმა შეაგროვეს ახალი საინტერესო მასალები მუზეუმის გასამდიდრებლად.

ს. ცოტნიაშვილი.

ინჟინრის შენიშვნები

ასადგილიანი საბავშვო ბაღის ტიპური პროექტები შესწორებას მოითხოვს, ინჟინრისათვის საჭიროა სეისმომედეგობის ღრმა ცოდნა.

თბილისში საბავშვო ბაღების საგრძნობლად დიდი ქსელი გვაქვს. წელს ამ ქსელს კიდევ რამდენიმე ახალი საბავშვო ბაღი შეემატა, ხოლო სულ უახლოეს დროში ბავშვებს გადაეცემათ ახალი საბავშვო ბაღები პირველი მაისის, 26 კომისრის და ორჯონიკიძის რაიონებში, წლის ბოლოსთვის კი — ლენინის რაიონშიც. აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ისიც, რომ ბოლო დროს საბავშვო ბაღების შენებლობის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ საშუალოზოდ მიგვაჩნია, რომ, მიუხედავად ამისა, თბილისში ახლად აშენებული საბავშვო ბაღები ვერ აკმაყოფილებენ, უწინარეს ყოვლისა, თვითონ ბავშვების მოთხოვნილებებს.

მხედველობაში გვაქვს ასადგილიანი საბავშვო ბაღის ორსართულიანი შენობის მოქმედი ტიპური პროექტი. ამ პროექტით გათვალისწინებულია დიდმინიანი კარები და ფანჯრები. ექსპლოატაციის დროს მინები ხშირად იმტვრევა, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებს პრაქტიკულად არ ძალუძთ დამსხვრეული შუშის გამოცვლა, იძულებული არიან ფანერით ან სხვა რამ მასალით შეცვალონ საფანჯრე მინა, რაც შენობას ამახინჯებს. გარდა ამისა, მინის გატეხვისას გამორიცხული არ არის ბავშვების დაშავება, მით უმეტეს, რომ ფანჯრები იატაკიდან მხოლოდ 40 სანტიმეტრის სიმაღლეზეა გაკეთებული. მშენებელი ინჟინრების აზრით, უმჯობესი იქნება ფანჯრები იატაკიდან უფრო მაღლა ავწიოთ და გამოვიყენოთ არა დიდი ზომის, არამედ უფრო მცირე ზომის მინები.

შენობის შიგნითა და გარეთა კიბეების საფეხურების სიმაღლე ტიპიური პროექტით გათვალისწინებულია 16.17 სანტიმეტრი. ასეთი სიმაღლის საფეხური მოზრდილთათვისაც კი შეუსაბამოა, ხოლო ბავშვებისათვის, ისიც საბავშვო ბაღის ასაკისათვის, მით უმეტეს. საფეხურის სიმაღლე 14 სანტიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო კიბის მოაჯირი ისეთ სიმაღლეზე უნდა იყოს, რომ პატარებმა შეძლონ ასვლა-ჩამოსვლისას მისთვის ხელის ჩაჭიდება. გარდა ამისა, გარეთა კიბეების მოწყობაზე, რაც პროექტით გათვალისწინებულია აგურის წყობით, დიდძალი საშენი მასალა იხარჯება. შესაძლებელი კია უფრო ეკონომიური გადწყვეტის მიღება, აგურის დაზარჯვაზე უარის თქმა.

შენობის სართულებში, სადაც ბავშვები არიან, გათვალისწინებულია საშარეულოს მოწყობა ბუნებრივი გაზის გამოყენებით. არც ეს უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

ტიპური პროექტი ითვალისწინებს ღია, შუამინავი აივნების მოწყობას. შენობის ფასადის გადაწყვეტის დროს ეს ელემენტი კარგ ეფექტს იძლევა, მაგრამ ღია აივნის ფუნქციური დანიშნულება მოლიანად როდია გამოყენებული, ოქტომბრის ბოლოდან მაისამდე აივნებს ვერ იყენებენ, 107 კვადრატული მეტრი ფართობი უსარგებლოდ არის დარჩენილი. ამიტომ უმჯობესია აივნები შეიმინოს, რათა კარგ ამინდში შეიძლებოდეს ფანჯრების გაღება და შიგა ოთახების განიავება.

დაუშვებლად მიგვაჩნია აგრეთვე ცენტრალური გათბობის რადიატორებისა და მილგაყვანილობის ღიად დატოვება, როგორც ეს ამ ტიპური პროექტით არის გათვალისწინებული. რადიატორები და მილგაყვანილობა როგორც ჰიგიენური, ისე ექსპლოატაციის მოხდენილობის თვალსაზრისით უნდა იყოს მოთავსებული კედლებში.

საბავშვო ნაგებობათა დამპროექტებლებმა ყოველივე ეს უნდა მიიღონ მხედველობაში, დაპროექტების საკითხების გადაწყვეტისას მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ჩვენი პატარა, ბუთხუზა ბავშვები და მათი კომუნისტურად აღზრდის ამოცანები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ არ იცის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადის სეისმური ზოლი და საქართველო შეიდბალიან სეისმურ რაიონად ითვლება.

ამიტომ ექცევა ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება მშენებლობაში სეისმომედეგობის ღონისძიებათა განხორციელებას, ანტისეისმურ მშენებლობას, რომლის სამშობლოც სწორედ ჩვენი რესპუბლიკაა.

ნაგებობათა სეისმომედეგობის გაანგარიშება 7 ბალის მიხედვით ხორციელდება და ამის შესაბამისად ადგენენ პროექტს. თუ ეს პროექტი საქართველოს საპროექტო ინსტიტუტებშია დამუშავებული, სეისმომედეგობის ღონისძიებანი მოცემული იქნება სამუშაო ნახაზებში, მაგრამ ხშირად ბევრი ობიექტი შენდება სხვა რესპუბლიკებში დამუშავებული ტიპური პროექტებით, რომლებითაც ანტისეისმური ღონისძიებები არ არის გათვალისწინებული. მაშინ საჭირო ხდება ამ პროექტების გადამუშავება ჩვენი რესპუბლიკის პირობების შესაბამისად.

მაგრამ პროექტში საერთოდ არ შეიძლება ყველა საკითხი უკიდურეს დეტალებამდე იყოს გაშუქებული და ამიტომ მშენებელი ინჟინერი მოვალეა მშენებლობის დროს ზუსტად შეასრულოს პროექტით გათვალისწინებული ანტისეისმური ღონისძიებები, თუ რომელიმე დეტალის მიხედვით ეს ღონისძიებები გამორჩენილია, დროულად მიიღოს ზომები, უზრუნველყოს ნაგებობების სათანადო სიმტკიცე.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა საპროექტო ორგანიზაციებში და სამშენებლო ორგანიზაციებში მომუშავე ინჟინრები სათანადოდ აყენონ აღმურვილნი სეისმომედეგობის ღრმა ცოდნით.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინჟინერ-მშენებელთა მომზადებისას, რასაკვირველია, სტუდენტებს სეისმომედეგობის ღონისძიებებსაც ასწავლიან, მაგრამ ანტისეისმურ ღონისძიებათა გაანგარიშების პრინციპებისა და მეთოდების შესწავლა საბინაო, კულტურული დანიშნულების და ჰიდროტექნიკურ საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობაში, როგორც სავალდებულო თეორიული საგანი, სასწავლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული.

ნაგებობათა სეისმომედეგობა საინჟინრო ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით საინჟინრო მეცნიერების უახლესი დარგია. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ სეისმომედეგობის მეცნიერულად შესწავლის საქმე ჩვენს რესპუბლიკაში მაღალ დონეზე დგას, რომ ჩვენში დიდი ხანია შექმნილია სამშენებლო მექანიკის სეისმომედეგობის ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი მეცნიერი კირიაკ ზავრიევი. ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე დამოუკიდებელ დისციპლინად შემოვიღოთ სეისმომედეგობის ღონისძიებათა შესწავლა.

ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ საქართველოს ქალაქებში ფართოდ ინერგება რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებით, დიდი ბლოკებითა და პანელებით მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის პრაქტიკა. თბილისში კი ძირითადად უნდა ვაშენოთ 8-9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები. ყოველად შეუწყნარებელი იქნება ამ ბაზელ მშენებლობაში სეისმომედეგობის ღონისძიებათა უგულებელყოფა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ინჟინერ-მშენებელთა ახალი კადრები ამ დარგის ცოდნითაც იყონ აღჭურვილნი.

რ. ნინიძე,
მთავარობილმშენის მთავარი ინჟინერი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

პასუხები კომუნისტთა შეკითხვებზე

როგორია კრებაზე პარტიაში მიღების შესახებ განცხადების განხილვის წესი და შეიძლება თუ არა ღია პარტიულ კრებაზე ასეთი განცხადების განხილვა? გვეკითხება ამხ. ა. მანსურაშვი გარდაბნის საწარმოო სამმართველოდან.

ყოველმა პირმა, რომელიც ჩვენს პარტიაში შედის, უნდა წარადგინოს სათანადო დოკუმენტები პარტიაში შესასვლელად. ეს დოკუმენტებია: განცხადება პარტიაში შესვლის სურვილის შესახებ, დაწერილი პირადად მის მიერ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით შევსებული ანკეტა, სათანადო რეკომენდაციები და ავტობიოგრაფია. სხვა საჭირო ცნობები პარტორგანიზაციამ თვითონ უნდა შეაგროვოს. იმ პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც პარტიული ბიუროა, პარტიაში მიღების განცხადებას წინასწარ განიხილავენ ბიუროზე, რომელმაც უნდა შეამოწმოს ანკეტის შევსების სისწორე, რეკომენდაციების ვარგისობა და არსებითად განიხილოს საკითხი, ღირსია თუ არა ეს ამხანაგი მიღებულ იქნას პარტიაში. თავისი აზრი ბიურომ უნდა მოახსენოს პირველადი პარტორგანიზაციის საერთო კრებას, რომელიც წყვეტს პარტიაში მიღების საკითხს, და სტაჟიც ამ თარიღიდან ინგარიშება. ბიუროო ვალდებულია კრებაზე განსახილველად გამოიტანოს ყველა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, მათ შორის იმ პირთა განცხადებებიც, რომელთა მიღებისაგან ბიუროო თავს იკავებს. კრებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მისაღები ამხანაგი და ის შესახებ კრებას მოახსენებს პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მისი მოადგილე ან ბიუროს წევრი.

აუცილებელია კრებაზე წაკითხულ იქნას ანკეტა და რეკომენდაციები. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი პარტორგანიზაციის კრება განცხადების შემომტანს უარს ეუბნება პარტიაში მიღებაზე, საბუთები პარტიულ კომიტეტში არ იგზავნება.

განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შეიძლება განხილულ იქნას იმ საამქროს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე (არასაწესდებო ორგანიზაციები), სადაც მისაღები პირი მუშაობს. ამ საამქროს, განყოფილების, ფაკულტეტის პარტორგანიზაციის კომუნისტები მუშაობის მიხედვით კარგად იცნობენ პარტიაში მისაღებ ამხანაგს და მათი აზრი უნდა მოხსენდეს საერთო პარტიულ კრებას. თუ საამქრო პარტიული ორგანიზაციები პირველადი პარტორგანიზაციის შიგნით არ არსებობს და მხოლოდ პარტიული ჯგუფებია ჩამოყალიბებული, მაშინ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ წინასწარ უნდა იქნას განხილული იმ პარტიული ჯგუფის კრებაზე, სადაც ეს ამხანაგი ირიცხება, და მისი აზრი მოხსენდეს პარტორგანიზაციის კრებას.

განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შეიძლება განხილულ იქნას როგორც დახურულ, ისე ღია პარტიულ კრებაზე. კრებაზე ყოველმხრივ უნდა იქნას განხილული პარტიაში მისაღები პირის პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებები. რეკომენდატორი პასუხს აგებს თავისი რეკომენდაციის — თავდებობის კეთილსინდისიერებისათვის.

პარტორგანიზაციას და თვითეულ კომუნისტს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ სკკ პარტიაში მიიღებიან შეგნებული, აქტიური და კომუნიზმის საქმის ერთგული ადამიანები, რადგან პარტია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს თავისი რიგების ხარისხობრივ გაუმჯობესებას და თვითეული პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს პარტიაში მიღების დროს მტკიცედ დაიცვას ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი.

კრებაზე უნდა გაიმართოს აზრთა ნამდვილი გაცვლა-გამოცვლა პარტიაში ამა თუ იმ ამხანაგის მიღებასთან დაკავშირებით. სწორად არ იქცევა პარტორგანიზაციის ის ბიუროო, რომელსაც კრებაზე განსახილველად ბევრი საკითხი გამოაქვს და ნშირად ასეთ კრებაზე რამდენიმე განცხადებას განიხილავს. ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში ჩქარობენ, მისაღებ ამხანაგს შეკითხვებს არ აძლევენ, აზრს არავინ გამოთქვამს, კრებაზე არც რეკომენდატორი ამბობს თავის აზრს. ასეთ შემთხვევაში პარტიაში შემსვლელი როდი გრძნობს იმ ნაბიჯის მნიშვნელობას, რომელიც მან უპარტიობიდან პარტიულობისაკენ გადადგა. განმცხადებელს შეიძლება მიეცეს პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებიც იმის დასაზუსტებლად, რომ ფლობს თუ არა იგი პოლიტიკური ცოდნის მინიმუმს, გაცნობილია თუ არა პროგრამასა და წესდებას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა გადაქცეს გამოცდად (როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე).

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთი მხრივ საკანდიდატო სტაჟი იმისათვის არის დაწესებული, რომ პარტიაში შემსვლელი ამხანაგი ყოველმხრივ მოემზადოს პარტიაში წევრად შესვლისათვის, ხოლო მეორე მხრივ თვით პარტიული ორგანიზაცია კარგად გაიცნოს მისაღები ამხანაგის ყველა თვისებას.

თავის წევრთა იდეური აღზრდისა და გამოწრთობისათვის პარტია უიდიესი მნიშვნელობის ღონისძიებებს ახორციელებს. არ შეიძლება მისაღებ ამხანაგს მოვთხოვოთ თეორიის ყველა საკითხის ღრმა ცოდნა, ეს გაანდლებდა მუშებისა და კოლმეურნეების მიღებას პარტიაში, რომლებმაც თავიანთი პატრიოტული შრომით დაამტკიცეს, რომ ღირსნი არიან იყონ საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეძლეს მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლება.

ა. მერკხულავა,
გაზეთ „კომუნისტის“ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შტატგარეშე განყოფილების გამგე.

რედაქციისაგან

რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები.

სკკპ ახალი წესდების მიხედვით პარტიულ მუშაობაში ყოველწლიურად ებმებიან ახალ-ახალი ამხანაგები. ამჟამადაც უმრავლესი პარტიული ორგანიზაციის ბიუროებისა და კომიტეტების შემადგენლობაში, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად არჩეულნი არიან ახალგაზრდა კომუნისტები.

იმ მიზნით, რომ მათ პრაქტიკული დახმარება გაეწიოთ მუშაობაში, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დაუფლებაში, შინაპარტიული დემოკრატიის წმიდად დაცვაში, „კომუნისტის“ რედაქციამ შემოიღო სპეციალური განყოფილება „პასუხები კომუნისტთა შეკითხვებზე“.

კომუნისტთა შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, აგრეთვე შინაპარტიული მუშაობის მთელ რიგ საკითხებზე კონსულტაციების მოსამზადებლად რედაქციასთან შექმნილია პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შტატგარეშე განყოფილება.

რედაქცია სთხოვს პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, ბიუროებისა და კომიტეტების წევრებს, კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მკითხველს გამოგზავნონ შეკითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე, აგრეთვე წინადადებანი და სურვილები, რაც დაეხმარება გაზეთს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის უკეთ გაშუქებაში.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

წერილები რედაქციას

მეგობრობის დროშით

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲚᲒᲐᲜᲗᲐ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ძვირფასო ამხანაგებო!

სომხეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 სამშენებელო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა თქვენს მოწოდებას — გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება და ამით დავაჩქაროთ კაპიტალური მშენებლობა, გავაუმჯობესოთ მშენებლობის ხარისხი.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა სამშენებლო კოლექტივმა შემოიღო კომპლექსური ბრიგადების სისტემა და ხელფასის გაცემის პრემიალურ-სააკორდო მეთოდი. ამ პროგრესული მუშაობის დანერგვამ ხელი შეგვიწყო რესპუბლიკის მოწინავე მშენებელთა რიგებში ჩამდგარიყავით. უკვე კარგახანია ხელთ გვიჭყრია ტრესტის გარდამავალი წითელი დროშა და წარმატებით ვიბრძვით კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალი წოდების მოპოვებისათვის.

კომპლექსური ბრიგადების შექმნამ და ხელფასის პრემიალურ-სააკორდო სისტემის შემოღებამ გააძლიერა მუშების პირადი დაინტერესება ნაკისრი ვალდებულების ვადამდე და ხარისხიანად შესრულებით, საშენი მასალების ეკონომიური ხარჯვით, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებით.

დადებითი შედეგი გამოიღო აგრეთვე ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციებს შორის დანერგილმა ნაკადურმა სისტემამ. შექმნილია სპეციალიზებული სამშენებელო სამმართველოები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ შენობების ჩონჩხების ან შიდა-მოპირკეთებისა და საძირკვლის აგების სამუშაოებს.

კომპლექსური ბრიგადების შექმნის შედეგად სისტემატურად იზრდება შრომის ნაყოფიერება და პროპორციულად დიდდება მუშათა გამომუშავება, ხოლო ხელფასის ფონდი ყოველწლიურად კლებულობს. 1960 წელს ხელფასის ფონდი შეადგენდა შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების 21,7 პროცენტს, 1961 წელს — 20,5 პროცენტს, 1962 წელს — 19,5 პროცენტს, ხოლო 1963 წელს — 18,9 პროცენტს. ყოველივე ამის შედეგად შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულება 1962 წელს შემცირდა 45 ათასი მანეთით, შრომის ნაყოფიერება გადიდდა 11,3 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცა 32.780 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გეგმით ნავარაუდევი 28.263 კვადრატული მეტრის ნაცვლად.

1963 წლის 6 თვეში შესრულებულია 2.934 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გეგმით ნავარაუდევი 2.187 ათასი მანეთის ნაცვლად, ანუ გეგმა შესრულებულია 135 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცა 17.228 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გეგმით გათვალისწინებული 13.969 კვადრატული მეტრის ნაცვლად, ანუ გეგმა შესრულებულია 123,4 პროცენტით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შემცირდა 175.5 ათასი მანეთით გეგმით ნავარაუდევი 123,3 ათასი მანეთის ნაცვლად. მიღებული ზეგეგმითი დაგროვება 52 ათასი მანეთის აღემატება.

მიიღო რა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა, № 1 სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა სომხეთის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

1. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 1963 წლის გეგმა 4.274 ათასი მანეთის რაოდენობით საბჭოთა სომხეთის 43-ე წლისთავის დღისათვის — 29 ნოემბრისათვის შესასრულოს;

2. 1963 წლის გეგმით გათვალისწინებული 28.983 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი საექსპლოატაციოდ გადასცეს 5 დეკემბრისათვის;

3. წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცეს 6.600 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი;

4. მოსკოვისა და ლენინგრადის სამშენებლო კოლექტივების მაგალითისამაგრი საგარანტიო პასპორტით საექსპლოატაციოდ გადასცეს სულ ცოტა სამი სახლი;

5. შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 6 პროცენტით;

6. საკუთარი საშუალებებით 100 ათასი მანეთის შესასრულებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში გამოიყენოს 830 კუბური მეტრი ას

ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲡᲣᲡ ᲤᲐᲠᲘᲐᲡ, ᲞᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲐᲓᲔ, ᲛᲐᲠᲘᲝ ᲛᲝᲜᲔᲡᲘ, ᲐᲚᲕᲐᲠᲐᲓᲝ ᲛᲝᲜᲔᲡᲘᲡ, ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲛᲐᲘᲓᲐᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲡ

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐᲨᲘ, ეკვადორში, გვატემალაში, პარაგვაიში, პაიტში, ბოლივიასა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გამოჩენილ პროგრესულ მოღვაწეთა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ გაჩაღებული ნასტიკი რეპრესიების ტალღამ ღრმა აღშფოთების გრძნობა გამოიწვია ჩვენში, საბჭოთა კავშირის უურნალისტებში.

იმათ შორის, ვისაც ეს რეაქცია სდევნის, არიან არა მარტო კომუნისტები, არამედ სხვა პროგრესულ-დემოკრატიული პარტიების თვალსაჩინო მოღვაწეებიც, ნიჭიერი მწერლები, პუბლიცისტები, პოეტები, მასწავლებლები, ეკონომისტები, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ლათინურ ამერიკაში.

ხესუს ფარია, გუსტავო მაჩადო, პედრო საადი, ჰილბერტ ჰილი, მარიო მონხე, ბერნარდო ალვარადო მონსონი, ანტონიო მაიდანა, ჟაკ სტეფენ ალექსისი საპყრობილეებში დაამწყვდიეს იმპერიალისტური რეაქციის მიერ შეთითხნილი ყალბი ბრალდებებით. ეს გმირი პატრიოტები მთელ სიცოცხლეს თავიანთი ქვეყნების ხალხთა ინტერესებს სწირავენ. მათ წერასულში არაერთხელ განუცდიათ ციხესწამება და დევნა, მაგრამ მუდამ რჩებოდნენ თავიანთი პატრიოტული მოვალეობის ერთგულნი. მათ მთელი მსოფლიო იცნობს როგორც მამაც მებრძოლებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის, და ამ მოღვაწეთა უკანონო დაპატიმრებამ უკვე გამოიწვია ლათინური ამერიკის ქვეყნებში გულისწყრომისა და პროტესტის სამართლიანი აზვიერება.

ეჰვს გარეშეა, რომ ეს დევნა, რაც თითქოს ერთი განკარგულებით თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყო ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში, იმპერიალისტური რეაქციის სასოწარკვეთილების აქტია. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებსა და მათს მარionეტებს ეშინიათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობისა ლათინურ ამერიკაში, მთელი პატრიოტული, დემოკრატიული ძალების მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური და მუშათა პარტიების მზარდი ავტორიტეტისა.

ხალხის რისხვა პირისაგან მიწისა აღგვის ყველა დიქტატორს, იმპერიალიზმის ყველა მსახურს, რომლებიც თავიანთი ხალხების ინტერესებს ყიდიან.

სსრ კავშირის უურნალისტთა კავშირი მტკიცე პროტესტს აცხადებს იმპერიალისტური რეაქციის ველური თვითნებობის წინააღმდეგ და თავის ღრმა აღტაცებას გამოთქვამს ხესუს ფარიას, პედრო საადს, ალვარადო მონსონს, ანტონიო მაიდანას და ლათინური ამერიკის კონტინენტის მუშათა კლასის სხვა გმირთა სიმტკიცის გამო.

თავიანთ ხმას უერთებენ რა ლათინური ამერიკის ქვეყნების ყველა პატიოსანი პატრიოტის ხმას, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს ტერორი, საბჭოთა უურნალისტები მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ მთელი მსოფლიო პროგრესული საზოგადოებრიობის გაერთიანებული ღონისძიებები მოხერხდება მიღწეულ იქნას ამ გამოჩენილ დემოკრატ მოღვაწეთა განთავისუფლება.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს თანამოკალმე მოძმეებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ყველა პროგრესულ უურნალისტს დაუყოვნებლივ გამოვიდნენ და მკვეთრად დგამონ რეაქციის მოქმედება ლათინური ამერიკის ქვეყნებში, გააჩაღონ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით ამ კონტინენტის გამოჩენილ პროგრესულ მოღვაწეებთან სოლიდარობის ფართო კამპანია.

თავისუფლება კომუნისტ-პატრიოტებს! თავისუფლება რეაქციის მსხვერპლთ, კაპიტალის ტყვეებს!

სსრ კავშირის უურნალისტთა კავშირის გამგეობა

(სააგენტო „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘ“).

ᲬᲧᲔᲕᲚᲐ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲡ!

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘ, ეკვადორის, გვატემალისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი სხვა ქვეყნების გამოჩენილი საზრგადო მოღვაწეები საპყრობილეში ჩასვეს. დაპატიმრებული არიან მუშური ვენესუელის გმირი, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხესუს ფარია, ეკვადორის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი პედრო საადი და ასობით სხვა პატრიოტი.

ისტორიულად განწირულ ძალებს სურთ ტერორით, ხიშტებითა და საპყრობილით შეუშალონ ხელი სოციალისტური იდეების გავლენის ზრდას. კომუნისტების დევნა თვითეული პატიოსანი ადამიანის აღშფოთებას, სამართლიან რისხვასა და მკვეთრ პროტესტს იწვევს.

მრავალი დღის განმავლობაში ჩვენ — სამოცდაათი ქვეყნის ჟურნალისტები — ემსჯელობდით იმ საკითხებზე, თუ როგორ შევიტანოთ უკეთ და უფრო ეფექტურად ჩვენი წვლილი მშვიდობისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლის სფეროში, როგორ შევუწყოთ უკეთ ხელი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და რწმენის ადამიანთა ურთიერთგაგებას, რომ ხალხთა შორის დიალოგის ცენტრში ვიყოთ და დახმარებას ვუწევდეთ განვითარების გზაზე მდგომ ახალგაზრდა სახელმწიფოებს. ამიტომ ჩვენ გადაჭრით გგმობთ საბერძნეთში, ერაყში, ვენესუელაში, ეკვადორსა და სხვა ქვეყნებში პროგრესულ მოღვაწეთა დევნას.

სირცხვილი იმათ, ვინც ცდილობს პოლიციური ტერორით შეაჩეროს ხალხთა მოძრაობა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისაკენ!

ვერც საპყრობილეები, ვერც სამხედრო ტრიბუნალები ვერ შეაჩერებენ მშრომელთა შეურყეველ მოძრაობას თავისუფლებისაკენ. და განა ლათინური ამერიკა დღეს მოქმედ ვულკანს არა ჰგავს? განა რეაქციის თარეში გამოწვეული არ არის მისი შიშით პროგრესული ძალების უმაგალითო ზრდის წინაშე?

თავიანთი მოგება რომ გადაარჩინონ და შეინარჩუნონ, ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები და ვენესუელისა და ეკვადორის შინაგანი რეაქციური ძალები სამოქალაქო თავისუფლებათა უკანასკნელ ნაშთებს სპობენ. მათ სურთ თავი მოჰკვეთონ მასებს, მაგრამ თავიანთი მოქმედებით მშრომელთა მხოლოდ უფრო მეტ სიძულვილს გამოიწვევენ. იდეებს საპყრობილეში ვერ გამოამწყვდევენ.

ჩვენ, დემოკრატი ჟურნალისტები, რომლებმაც ფიცი დავდეთ მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ დემოკრატიისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას, გამოვთქვამთ ჩვენს მხურვალე სოლიდარობას ვენესუელის, ეკვადორის, პარაგვაის, ესპანეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის, ერაყის საპყრობილეთა პატიმრებისადმი. აღშფოთებით ვგმობთ რეაქციული რეჟიმების მოქმედებას, რომლებსაც სურთ ტერორის საშუალებით გაიხანგრძლივონ არსებობა. უაღრესად მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ პოლიციური თვითნებობის წინააღმდეგ. ჩვენ თქვენთან ვართ, პატრიოტებო, საპყრობილეში რომ იტანჯებით, გიძღვნით მეზზნებრივ მებრძოლ სალამს. თქვენი საქმე სამართლიანია, იგი გაიმარჯვებს! თქვენთან არის მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი!

ᲬᲧᲔᲕᲚᲐ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ!

ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲕᲚᲘᲩᲔᲙᲘ,
ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ III ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲨᲔᲖᲒᲔᲓᲠᲐᲖᲣ ᲩᲔᲩᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ.

ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲘ!

როგორც ძველად, ისე ამჟამადაც კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში რეაქციული ძალები გამუდმებით ებრძვიან კომუნისტებს.

უკანასკნელ ხანებში რადიოს თუ გაზეთს ჩვენამდე მოაქვს აღმაშფოთებელი ცნობები კომუნისტების მიმართ მძაფრი ტერორის შესახებ. იმპერიალისტებს იერიში მიაქვთ პატრიოტულ ძალებზე და მათგან პირველ რიგში კომუნისტებზე. საზიზღარმა ჯალათებმა სატუსაღოს ჯურღმულებში ჩასვეს ვენესუელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხესუს ფარია, მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლი გუსტავო მაჩადო და სხვა მათი თანამებრძოლები. კომუნისტებს ასევე მხეცურად უსწორდებიან გვატემალის, ეკვადორის, პარაგვაის და პაიტის ხელისუფალნი.

იმპერიალისტებს სურთ ჩააქრონ ხალხებში ლენინიზმის იდეების, ოქტომბრის იდეების შუქი. მაგრამ ამაოდ. ისინი ამას ვერ მოესწრებიან. კომუნიზმის ძალები ანადგურებენ ეს ბნელ ძალებს. ეს ბნელ ძალებს ანადგურებენ ეს ბნელ ძალებს. ეს ბნელ ძალებს ანადგურებენ ეს ბნელ ძალებს.

მე როგორც ძველი ბოლშევიკი, 1905 წლის რევოლუციური ქარტეხილების მონაწილე, ჩემს ხმას ვუერთებ მსოფლიოს საზოგადოებრიობის ხმას. შეწყდეს ტერორი კომუნისტების მიმართ!

Ი. ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ,
ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲕᲠᲘ 1905 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲞᲘᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). სახალხო პალატის სხდომაზე, რომელიც აქ გაიხსნა, გაიმართა პალატის პრეზიდიუმის არჩევნები. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია პროფესორი იოანეს დიქმანი.

ამის შემდეგ აირჩიეს სახელმწიფო საბჭო. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად კვლავ არჩეულია ვალტერ ულბრიხტი.

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). ბაღდადის რადიომ დღეს დილით გამოაქვეყნა ერაყის გენერალ-გუბერნატორის ცნობა კომენდანტის საათის დაუყოვნებლივ შემოღების შესახებ. ცნობაში ხაზგასმული იყო, რომ ეს ღონისძიება „გამოწვეულია სახელმწიფოებრივი ინტერესებით და ძალაში შედის მისი გამოქვეყნების მომენტიდან“.

ამ ცნობის შემდეგ რადიომ უეცრად შეწყვიტა გადაცემები.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, ერაყ დღეს დილით აქ მიღებული ბაღდადის რადიოს გადაცემები მოწმობდნენ, რომ შესაძლოა აჯანყება ან სამოქალაქო ომის დაწყება ერაყში. ერაყის პრემიერ-მინისტრმა „გენერალმა ბექრმა რადიოთი მიმართა ხალხს მოწოდებით, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მმართველი ბაასისტური პარტია „საფრთხეშია“.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ბეირუთიდან იუწყება, დღეს დილით ბაღდადში სცადეს მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება. ბეირუთის ბაასისტთა წრეების ცნობებით, ამ ცდას თითქოს წარმატება არ მოჰყოლია. იუწყებიან, რომ ბაღდადის რადიოსადგური ალბათ დაბომბეს. ერაყის ბეირუთის საელჩო დუმს.

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ

ᲑᲝᲜᲘ, 13 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ტიუპაევი გვატყობინებს:

პროპაგანდისტული აურზაურის აუტეხავად, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო „ბიგ ლიფტის“ მანევრების დასაწყისისთვის, ახლა დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების ამ ფართო სამხედრო დემონსტრაციის უკანასკნელი ეტაპი. ამჟამად ატლანტის ოკეანეზე უკვე მიფრინავენ პირველი სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებთანაც ამერიკის მეორე ჯავშანსატანკო დივიზიის მეწინავე რაზმი და შტაბის ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრუნდებიან. ეს დივიზია დაახლოებით ერთი თვის წინათ სასწრაფოდ გადაისროლეს ტეხასის შტატიდან (ამერიკის შეერთებული შტატები) დასავლეთ გერმანიის ეიროდრომებზე. დივიზიის პირადა შემადგენლობამ აქ ამერიკის სამხედრო საწყობებიდან მიიღო ტანკები, ჯავშანტრანსპორტერები და არტილერია და მოხაზოლოდა სახმელეთო წვრთნაში. ახლა დივიზია კვლავ შეერთებულ შტატებში ბრუნდება.

ახლა მანევრების უკანასკნელ სტადიაზე ამერიკის სარდლობამ აუჩქარებელი მოქმედება იჩინა. ოპერაციის დასკვნითი ნაწილი უფრო დიდხანს გაგრძელდება, ვიდრე ამერიკის დივიზიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების გადმოყვანა ამერიკის შეერთებული შტატებიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ვარაუდობენ, რომ იგი დაახლოებით ათ დღეს გასტანს.

ოპერაცია „ბიგ ლიფტი“, როგორც დასავლეთ გერმანიის ჟურნალი „შპიგელი“ აღნიშნავს, „ჯარების საჰაერო გადაყვანის მანევრებს შორის ყველაზე ძვირადღირებული მანევრი იყო“. მას ადამიანების მსხვერპლიც მოჰყვა — სახმელეთო მანევრების მსვლელობაში, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ჰესენის მხარეში მოეწყო, რამდენიმე ჯარისკაცი დაიღუპა და ძმიმედ დაიჭრა.

ოპერაცია „ბიგ ლიფტის“ მთელი მსვლელობა და ამოცანები მოწმობენ, რომ ბონსა და პენტაგონის ხელმძღვანელ წრეებს განზრახული აქვთ მომავალშიც გააფართოვონ თავიანთი თანამშრომლობა ნატოს აგრესიულ ბლოკის ფარგლებში. ეს სამხედრო დემონსტრაცია, რომელიც ხმელეთზე და ჰაერში მიმდინარეობდა, ამერიკის ეგრეთ წოდებული „ოპერატიული სარდლობის“ ჯარების მომზადების დიდმნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ეს ჯარები შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში გადაისროლონ იმისათვის, რომ პენტაგონის ბრძანებით იმოქმედონ და „სახანძრო რაზმისა“ და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკის უზრუნველყოფის იარაღის როლი შეასრულოს იქ.

ᲣᲫᲚᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘ

ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში ამ ბოლო დროს გაძლიერდა რეაქციის თარეში. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არიან პარაგვაი, ვენესუელა, ეკვადორი, დომინგოს რესპუბლიკა, ჰონდურასი. დოლარებთ ნასაზრდოები რეაქციული დიქტატორები თვითნებობისა და რეპრესიების გზით ცდილობენ ჩაახშონ ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ჩემს ქვეყანას, პერუს, გარდა ენისა და ტრადიციებისა, ეკვადორთან და ვენესუელასთან ბოლივარ განმათავისუფლებლის გმირობაც აკავშირებს. და ჩვენ არ შეგვიძლია ვულგრილი დავრჩეთ, როცა ეტყობილობთ, თუ რა საშინელ მდგომარეობაში არიან ამ ქვეყნების დემოკრატები და პროგრესული მოღვაწეები. განსაკუთრებით გვაღელვებს იმათი ბედი, ვინც ხიშტს კალამი გაუთანაბრა, როგორც ეს მაიაკოვსკის უნდოდა.

პერუელებმა ხულ ცოტა ხნის წინათ მოუღეს ბოლო სამხედრო დიქტატურის წუდადს. ჩვენ საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რა არის ეს. ჩვენი მწერლებისა და უურნალისტების სახელით უალრესად მტკიცე პროტესტს ვაცხადებ იმ დევნის წინააღმდეგ, რასაც ეკვადორისა და ვენესუელის პატიოსანი ადამიანები განიცდიან. იმპერიალიზმს ეშინია კონტინენტის დემოკრატიული ძალების ზრდისა, კომუნისტების დაპატიმრებანი სასოწარკვეთილებისა და უძლურების აქტია. ოგრამ ამის პასუხად მტკიცდება მთელი პროგრესულად მოაზროვნე ლათინური ამერიკის ერთიანობა. აქტიური მეგობრობისა და სოლიდარობის მტკიცე კედელი აღმართოთ სირცხვილის, ძალადობის წინააღმდეგ, ადამიანის ღირსების დამცირების წინააღმდეგ!

ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲝ ᲕᲐᲚᲙᲐᲠᲘᲚᲘ,
გაზეთ „უნიდადის“ დირექტორი.
ᲚᲘᲛᲐ, ᲞᲔᲠᲣ.

ᲛᲝᲫᲛᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲗ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ

ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲘᲡ მონაწილეებმა უკვე რამდენიმე ასეული კილომეტრი გაიარეს ორი მიმართულებით — ჩრდილოეთითა და სამხრეთით. ᲗᲐᲮᲐ უერთდებიან რაიონული ესტაფეტები, რომლებიც კოლექტიურ მიღოცვას გადასცემენ საბჭოთა მსმენელებს. მეგობრობისა და მშვიდობის ესტაფეტი გაიგლის სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ყველა ოლქსა და რაიონს — დაახლოებით 7 ათას კილომეტრ გზას. მასში მონაწილეობას მიიღებს თითქმის მილიონი კაცი.

ნოემბრის ბოლოს ჩეხოსლოვაკიის ესტაფეტი საზღვარზე შეხვდება მოსკოვიდან წასული ესტაფეტის მონაწილეებს. მრავალ მოსალმებასა და მილოცვაში, რომელსაც საზღვარზე ჩაბარებენ, ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები გამოთქვამენ თავიანთ მტკიცე მისწრაფებას განამტკიცონ ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა საბჭოთა ხალხთან. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი კვლავ და კვლავ აცხადებს: „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად“.

ᲒᲔᲛᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲗᲣᲜ, 12 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ოსიპოვი იუწყება: მოგადიშოს ნავსადგურში ღუნა ჩაუშვა საბჭოთა გემმა „ფრიაზინომ“, რომელიც დატვირთულია 2.000 ტონა ცემენტით, ავტომანქანებით, ტრაქტორებით, სამრეწველო მოწყობილობით, ლითონით. აფრიკის ახალგაზრდა ქვეყნისათვის, რომელიც ახლანან დაადგა დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობის გზას, ეს ძვირფასი ტვირთია. ამ ტვირთს ბევრგან მოელიან — მოგადიშოსა და შეიხში, კისმაიაია და ჯუბის რაიონში — ყველგან, სადაც საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებენ სამრეწველო საწარმოებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, ქმნიან სახელმწიფო მეურნეობებს.

საკდესის კორესპონდენტი იყო გემზე და ესაუბრა სომალიელთა ჯგუფს, რომლებიც გემის გადმოტვირთვაზე მუშაობენ. ჩვენი ხალხი დიდად აფასებს იმ სულგრძელ და უანგარო დახმარებას, რასაც თქვენი ქვეყანა გვიწევს, გულწრფელი სიხარულით ამბობს ნავსადგურის მოსამსახურე არტან ფარა, რომელიც ტვირთის აღრიცხვას აწარმოებს. ეს დახმარება, თქვა მან, უდავოდ დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ჩვენს ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲒᲣᲯᲠᲐᲢᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ

ᲐᲨᲘᲒᲐᲑᲐᲓᲘ, 12 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ნიკიტინი გვატყობინებს:

დღეს საბჭოთა კოსმონავტები ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ანდრიან ნიკოლაევი და ვალერი ბიკოვსკი ჩავიდნენ გუჯრატის შტატის დედაქალაქ აშიდაბადში. ათი ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქალაქის ქუჩებში და ავტომანქანების მსვლელობის მთელ მანძილზე აღფრთოვანებით ესალმებოდა კოსმოსის სახელოვან დამპყრობლებს.

საბჭოთა კოსმონავტები მიიღო გუჯრატის შტატის მთავარმა მინისტრმა ბალვანტრაი მეჰტამ, რომელიც გულთბილად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს. შტატის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხიტენდრა დესაიმ საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ შტატის მთავრობის წევრები, მეცნიერები, ჟურნალისტები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საბჭოთა კოსმონავტების ვიზიტს დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი პრესა. წამყვანი გაზეთების მთელი გვერდები სავსეა სტატიებით საბჭოთა გმირების გაფრენებზე.

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ, 13 ნოემბერი. (საკდესი). ჯავანის რევოლუციურმა ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 4 აგენტს, რომლებიც შეიპყრეს, როცა ცდილობდნენ მეკობრული ვემიდან კუბის ტერიტორიაზე გადმოსვლას.

როგორც გამომიების დროს ბრალდებულებმა აღიარეს, მათ დავალებული ჰქონდათ შეექმნათ კუბაში ჯამეშური ქსელი, რათა შეეგროვებინათ სამხედრო ხასიათის ცნობები, გადაეღოთ სამხედრო ობიექტების ფოტოსურათები, აგრეთვე მოეწყოთ ქირგამომთხრელი საქმიანობა ქვეყნის მიგით.

ტრიბუნალის განაჩენი მოყვანილია აისრულეს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲨᲐᲚᲔᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). დაგომეის დროებითმა მთავრობამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოექცა დაგომეის პრეზიდენტის იუბერა მაგას დამბოხის შემდეგ, გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად ყველა პოლიტიკური პარტია დაშალეს. ამას კოტონუდან იტყობინება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ მოოლოცვასა და მისალმებას ჩამოუტანენ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე მოსკოველებს, ლენინგრადელებს, კიეველებსა და სსრ კავშირის სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებს მეგობრობისა და მშვიდობის ესტაფეტის მონაწილენი, რომელსაც სტარტი 7 ნოემბერს მიეცა პრაღაში.

ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲩᲐᲑᲐᲗᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). მეფე ჰასან II-მ აჰმედ ბაჰნინი, რომელსაც იუსტიციის მინისტრის პოსტი ეკავა წინანდელ კაბინეტში, დანიშნა მაროკოს ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრად. ამ მთავრობის შემადგენლობაში არიან 14 მინისტრი და 4 სტატს-მდივანი. მათი უმრავლესობა მთავრობის მომხრე პარტიის „კონსტიტუციური ინსტიტუტების დაცვის ფრონტის“ წევრია. აჰმედ რედა გედირამ, რომელსაც წინათ სოფლის მეურნეობის მინისტრისა და სამეფო კანცელარიის უფროსის პოსტი ეკავა, ახალ მთავრობაში მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი. გენერალი მაჰკუბი აპარდანი კვლავ თავდაცვის მინისტრია.

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲐ

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ XVIII ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პირველი (პოლიტიკური) კომიტეტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია ლათინური ამერიკის უატომო ზონად გადაქცევის საკითხზე. შემდეგ დისკუსია შეწყდა და კომიტეტი შეუდგა დღის წესრიგის მესამე პუნქტის განხილვას, რომელიც ითვალისწინებს კონფერენციის მოწვევას, რათა დაიდოს კონვენცია ატომური და თერმოატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ. ეთიოპიის წარმომადგენელმა გაბრე-ეგზიმ აფრიკის 13 ქვეყნის სახელით შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ ატომური და თერმოატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ კონვენციის დადებისათვის კონფერენციის მოწვევის საკითხის განხილვას დაუყოვნებლივ შეუდგეს 18 ქვეყნის განიარაღების თათბირი და რომ ამ განხილვის შედეგებს შესახებ ქენევის თათბირმა მოხსენება წარუდგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შემდგომ სესიას.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ეკონომიურ და საფინანსო საკითხთა კომიტეტმა 85 ხმით მიიღო რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კაპიტალური განვითარების ფონდის დაარსების შესახებ,

ᲒᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲜᲐᲮᲐᲢᲘ ᲙᲐᲠᲚ ᲤᲔᲠᲡᲢᲔᲠᲘᲡᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲨᲘᲚᲘᲚᲘ“.

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲗᲔᲛᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში დედოფლის სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის გამო კამათში გამოვიდა პრემიერ-მინისტრი დუგლას-ჰიუმი. მან გამოთქვა იმედი, რომ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ „მოასწავებს ცივი ომის დასასრულის დასაწყისს“. ამავე დრო დუგლას-ჰიუმი ამტკიცებდა, რომ ცივი ომის დამთავრება თითქოს დამოკიდებული იყოს მხოლოდ საბჭოთა კავშირზე, და ვერ შეიკავა თავი ჩვეულებრივი ანტიკომუნისტური გამოხდომებისაგან.

შეეხო რა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის პერსპექტივებს, დუგლას-ჰიუმმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია შეთანხმება მეთვალყურეთა შესახებ ნატოს ქვეყნებისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მთელი ტერიტორიისათვის. შემდეგი მოსალოდნელი შეთანხმება, პრემიერ-მინისტრის აზრით, შეიძლება იყოს შეთანხმება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს ატომური სახელმწიფოების ვალდებულებას — არავითარ შემთხვევაში არ გადასცენ ატომური საიდუმლოებანი ან კონტროლი ქვეყანას, რომელსაც არა აქვს ატომური იარაღი.

მოკლედ გააშუქა რა მთავრობის საგარეო პოლიტიკა, დუგლას-ჰიუმმა აღნიშნა, კერძოდ, რომ ინგლისმა „უნდა გამონახოს, სადაც კი შესაძლებელია, შეთანხმების სფეროები“ და აწარმოოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან.

დუგლას-ჰიუმმა განაცხადა, რომ არც ინგლისი, არც შეერთებული შტატები არ გადასცემენ ატომურ საიდუმლოებებს თუ ატომურ კონტროლს არც ერთ ქვეყანას, რომელსაც ეს არა აქვს. იგი აცხადებდა, რომ ეს ეხება დასავლეთ გერმანიასაც.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ მთავრობას განზრახული აქვს შეინარჩუნოს ინგლისის კონტროლი შორი მოქმედების რადიუსის ატომური ძალ

გულმართალი ხელოვანი

ხელოვნების მუზეუმის დიდი შენობის პირველ სართულზე საქართველოს თეატრალური მუზეუმია. თაროებსა და უჯრებში თანმიმდევრულად განლაგებულია ყველაფერი, რაც ქართულ თეატრს რაიმე მხრივ უკავშირდება. ეს მასალები ათეული წლების მანძილზე სიყვარულით და სიფრთხილით შეუკრებიათ მუზეუმის თანამშრომლებს, საგანგებო ადგილი მიუჩენიათ, რომ ჩვენი ეროვნული თეატრის ისტორიას არაფერი დაჰკლებოდა, რომ არ დაკარგულიყო ის, რაც ჩვენს წინაპრებს ხალხისათვის გაუკეთებიათ.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი.
მხატვარი ლ. მალალაშვილი.

—ელისაბედ ჩერქეზიშვილის შესახებ თუ გაქვთ რაიმე? — ვკითხე მუზეუმის თანამშრომელს. რა ხიალოვენებით, რა სიხარულით გადმომილაგა ყველაფერი. ლუარსაბ მაღალაშვილის გარდა ქართველ მხატვრებს არ დაუხატავთ ჩვენი სასქალფულო მსახიობი, თორემ ისე მასალები უამრავია: წიგნი ელისაბედ ჩერქეზიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მოგონებები, საგაზეთო რეცენზიები, ხელნაწერები, მისალმებანი, გამოსვლები, პუბლიცისტური წერილები, მოთხრობები და სხვ.

აგერ სტანდარტული ანკეტის ორი გვერდი: ჩერქეზიშვილი ელისაბედ ალექსანდრეს ასული. დაიბადა 1863 წელს, 14 ნოემბერს, გორის მაზრის სოფელ კოშკაში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. განათლება არ მიუღია. ქართული ენა „ვეფხისტყაოსნით“ შეასწავლა მამამ, რომელმაც ზეპირად იცოდა იგი. შეასწავლა და შეაყვარა მუსიკაც. ბუნებრივი იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ელისაბედისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავისი ნიჭის შესაფერი გზა გაეკვლია ცხოვრებაში.

...ამის შემდეგ სცენაზე მოღვაწეობის სამოცზე მეტი წლის მანძილზე განხორციელებული 400 გმირის სია. რუსული და უცხოური პიესები, ეროვნული რეპერტუარი, პროფესიული და სახალხო თეატრები, კინოფილმები.

...საკუთარ ნაწარმოებთა სია: ათამდე მოთხრობა რევოლუციამდელი და რევოლუციისშემდგომი საქართველოს ქალისა და სოფლის ცხოვრებაზე. ორი დრამატული ნაწარმოები, რამდენიმე პუბლიცისტური წერილი. ელისაბედ ჩერქეზიშვილს, როგორც ავტორს ძალიან უყვარს იმის დაზუსტება, თუ კონკრეტულად რას და როგორ აკეთებს ესა თუ ის გმირი. ამიტომ როცა კითხულობ, ასე გგონია შენს წინაშე მოქმედ პირთა ცხოვრების ცოცხალი სურათი იშლება, როგორც თეატრში.

...ოთხი იუბილე: სასცენო მოღვაწეობის 30, 40, 50 და დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი. რესპუბლიკის სახალხო არტისტის სპატიო წოდება, ლენინის ორდენი...

85 წელი იცოცხლა ელისაბედ ჩერქეზიშვილმა. ამ ხანგრძლივ სიცოცხლეში არც ერთი არასრულფასოვანი დღე არ მოეძებნება.

მსახიობობა ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, მაგრამ არტისტულმა ბუნებამ ადრე იჩინა თავი. სიცოცხლით სავსე, ონავარი ბავშვი სოფლის თვალი იყო. გარეგნულად დიდ სილამაზეს ვერ დაიკვეხნიდა, სამაგიეროდ სულიერად იყო ლამაზი და მდიდარი.

ქართულ ენას, მის სიღრმესა და მრავალმნშვნელოვნებას, თავისებურ სინატიფეს გრძნობდა როგორც პოეტი. იცოდა სიტყვის ძალა. იყენებდა კიდეც სცენაზე. იყენებდა ცხოვრებაშიც. ხუმრობა ხომ არ იყო ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და ვაჟა-ფშაველასთან საუბარი საღამოობით. რამდენი სიხარულის, რამდენი სარგებლობის მომტანი იყო ასეთი შეხვედრები! ხარბად ითვისებდა ნიჭიერი ელისაბედი ყველაფერ ახალსა და საინტერესოს. მნიშვნელოვან საზოგადო საქმეთა კურსში იყო მუდამ, მწერლობისა და პოეზიის ატმოსფეროში ტრიალებდა.

მართლაც ხარბი იყო მისწრაფებათა მრავალფეროვნებით. უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა, ყველაფერი გაეცადა. უყვარდა მოგზაურობა, შთაბეჭდილებათა სხვისთვის გაზიარება. წერდა დღიურებს: დაგვტოვა უცხოეთში მოგზაურობის შესანიშნავი ჩანაწერები. ამ წერილების წყალობით შეგვიძლია ბევრი რამ შევიტყოთ იმ დროის ფრანგულ და გერმანულ თეატრებზე, მსახიობებზე, უბრალო ადამიანებზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე, იმაზეც, თუ როგორ ეხატრებოდა ლიზას თავისი სამშობლო. „კი მოუწერია ელო ანდრონიკაშვილისათვის: „მშვენიერია პარიზი, დღეს და გადმოდის, მაგრამ ძალიან მომწყინდა. ერთი წუნეთელი მემაწვნის და მენახშირის დანახვა რადაც უნდა მიღირს“.

საქმის გაძღოლა იცოდა. ამ საქმით სხვისი გატაცებაც ეხერხებოდა. ყველგან სიხარული, მხიარულება და სიმხნევე შეჰქონდა, თუმცა ბევრი ჯავრი და გულისტკენა შეხვედრია ცხოვრებაში, ვაჟკაცურად იცოდა მწუხარების გადატანა.

ყველაზე დიდ სიხარულს მაინც მის საყურებლად მოსულ ადამიანებს ანიჭებდა.

ისეთი სიმსუბუქით იცოდა ელისაბედ ჩერქეზიშვილმა თავისი ვმირის შინაარსი მკითხველებმა შეხვედრა მოუწყეს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს პოეტ ი. ონნეშვილს.

საღამო გახსნა პარტიის თინანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. მგელიაშვილმა, „. ონნეშვილია შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა პედაგოგიური კაბინეტის გამგემ ა. ობგაიძემ.

ი. ონნეშვილმა დამსწრეთ გააცნო თავისი შემოქმედებითი გეგმები და წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი.

თარგმნილ პიესებში, მაგრამ ქართულსა და არაქართულ რეპერტუარშიც მუდამ ქართველი მსახიობი იყო. იმიტომ კი არა, რომ ქართულ სამოსელს ატარებდა ცხოვრებაში და სცენაზე გასაკვირი სიკოხტავით, იმიტომ, რომ სულით ხორცამდე ქართველი იყო.

დიდმა ნიჭიერებამ და ცხოვრების სიყვარულმა მუდმივი ახალგაზრდობით დაჯილდოვა ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ამიტომ ასე უყვარდათ ახალგაზრდებს, ამიტომ ელისაბედიც ასე კარგად გრძნობდა თავს მათთან, როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში. ავანგარდში იყო მუდამ, ყოჩაღი და ენთუზიასტი, ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც მუდამ ახალს ეძებდა.

1948 წლის 17 ოქტომბერს შეწყდა ამ ბედნიერი ადამიანის სიცოცხლე, მოულოდნელად, უჩვეულოდ. მეგობარ მსახიობებთან ერთად ბოლნისისაკენ უნდა გამგზავრებულიყო წარმოდგენის გასამართავად. გულმხიარული და ხალისიანი გაქრა უცებ თავისი საყვარელი საქმის, თავისი მოწოდების სადარაჯოზე.

...ასი წელი შესრულდა ელისაბედ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან. ასი წელი ერთი საუკუნეა, დიდი დრო. დრომ შთაბეჭდილების გადვრმკრთალება იცის, ზოგჯერ წაშლაც. მაგრამ დიდ შემოქმედებით სიხარულს ვერ ერევა ხოლმე. ასეთ სიხარულად აღიბეჭდა ელისაბედ ჩერქეზიშვილი მისი მადლიერი მაყურებლის მეხსიერებაში, ასეთად ცოცხლდება იგი ჩვენს თვალწინ თეატრალურ მუზეუმში დაცულ, დროისგან ფერადაკარგულ ხელნაწერებსა და სურათებში — ჭაღიანი და გულმართალი, ქართულ კაბაში, კოხტა ლეჩაქით, თავისი განუმეორებელი ბოხჩით, კეთილად მოღიმარი, სიცოცხლის სიყვარულით და სიხარულით აღსავსე.

ნათელა ურუშაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოანკესენი.
სურათი გადაღებულია ფოტომოყვარულების **გ. შეყილაძისა** და **გ. ჯობაძის** მიერ.

ახალი უნივერმაღი

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). აქ-კიდევ ერთი სიახლე დაიბადა — რაიონულ ცენტრში გაიხსნა ორსართულიანი უნივერსალური მაღაზია. მის მშენებლობას აწარმოებდა ტრესტ „საქკოოპმშენის“ ცხაკაიას სამშენებლო უბანი (უფროსი გ. ბერაია).

მაღაზიას აქვს ქსოვილების, მზატანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის და სხვა სექციები, სულ 13 სექცია. პირველ დღეს უნივერმაღმა 14 ათასი მანეთის საქონელი გაყიდა.

ჭადრაკის კუთხე

საერთაშორისო ოსტატ ვ. გოგლიძის რედაქციით

დაფიქრდით, ამოცანითი

ეტიუდი
ა. ტროიცკი



თეთრები: მფb1. ლc2 პ:b7 (სულ 3);
შავები: მფe7, ლc7, კc4 (სულ 3).

თეთრები იწყებენ და იგებენ.

მოგვაყავს ჭადრაკის გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის ა. ტროიცკის ერთ-ერთი ეტიუდი. მისმა ნაწარმოებებმა თავის დროზე სრული გადატრიალება მოახდინა ჭადრაკის ეტიუდში და ხელოვნების უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა იგი. გაითვალისწინა რა ა. ტროიცკის დამსახურება საჭადრაკო კომპოზიციის დარგში, საჭოთა მთავრობამ მას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა.

ჩვენი პასუხი

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 25 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული ჯ. მახათაძის ამოცანის გადაწყვეტა ასეთია: 1. კh3 g6 2. კf1 h3 3. კb5 მფ:f5 4. კ:d7×; ან 3... gf, მაშინ 4. კc4×.

ავტორის გადაწყვეტას მიაგნეს მ. კინწურაშვილმა (ცხაკაია), ზ. მუზაშვილმა (თბილისი), შ. სვანიძემ (ქუთაისი).

როგორც რედაქციაში მიღებული მრავალრიცხოვანი კორესპონდენციით გამოირკვა, ამ ამოცანას აქვს მეორე გადაწყვეტა სამ სვლაში — 1. მფh3 g6 2. კd1 მფ:f5 3. კg4×; ან 2... gf 3. კb3×.

ამოცანის მეორე გადაწყვეტა გამოგზავნეს: **გ. ალექსიძემ, ს. ფორაქიშვილმა, თ. მაჭარაშვილმა, ა. პაპუკიანმა, თ. მახათაძემ, გ. დარსალიამ, ქ. ქექუამ, დ. სანდუხაძემ, ი. ზოსაშვილმა, რ. ლომიძემ, ო. ჩუბინიძემ** (თბილისი), **ვ. მიქელაძემ, რ. თოფურიამ, ვ. მესხმა, გ. დარჩიამ** (რუსთავი), **გ. არდიამ, ა. იმერლიშვილმა** (ტყვარჩელი), **ნ. მაქაცარიამ, გ. შოგირაძემ** (ზუგდიდი), **რ. ფერაძემ, ა. ვეფხვაძემ** (ხესტაფონი), **ბ. მისაბიშვილმა, ზ. ქიქიამ** (სოხუმი), **კ. კირვალიძემ** (ქუთაისი), **ა. მელქაძემ** (სამტრედია), **მ. კორძახიამ** (აბაშა), **ტ. სართანიამ** (ცხინვალი), **ნ. ცისკარაძემ** (ქობულეთი), **მ. ბაჯელიძემ** (სოფ. ბახვი), **დ. ყეინიშვილმა** (სოფ. სიმონიანთხევი), **გ. შაველაშვილმა** (ვასპი), **ა. ხუბუნიამ** (ჩხოროწყუ), **წ. გოზალიშვილმა** (წნორი), **მ. კურტანიძემ** (ხარაგოული), **გ. ამირხანოვმა, ზ. ზურაბოვმა** (სიღნაღი), **შ. მოსეშვილმა** (ვალე), **გ. კუთარაშვილმა** (გორი), **ზ. ხუფენიამ** (სოფ. ღუმურიში), **შ. გოგოლაძემ, მ. ღონღაძემ** (ხაშური), **ა. ჯღარკავამ** (სოფ. ნავაზაო), **გ. ფილიაშვილმა** (ვეფსიცხე), **ვ. ჭანიამ** (სოფ. მიქავა).

რადგან ავტორის გადაწყვეტა უფრო ლამაზია, საერთაშორისო ოსტატი ჰ. კასპარიანი წინადადებას იძლევა ჯ. მახათაძის ამოცანა გასწორდეს შემდეგნაირად:

თეთრები — მფg2, ეf5, კh3, მf7 პ:d6, e3, g5 (სულ 7);
შავები — მფe6, პ:d7, e4, g7 h4 (სულ 5).

გადაწყვეტა: 1. მფh2! g6 2. კf1 h3 3. კb5! gf 4. კc4× ან 3... მფ:f5 4. კd7×.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ

კონკურსი საუკეთესო ნარკვევზე

ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს საუკეთესო ნარკვევზე აგიტატორის შესახებ. რედაქცია მოწოდებით მიმართავს ყველა მკითხველს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

ნარკვევი არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 10 გვერდს.

საუკეთესო ნარკვევებისათვის დაწესებულია:

პირველი პრემია	100 მანეთი
მეორე პრემია	80 მანეთი
მესამე პრემია	60 მანეთი

ნარკვევების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1963 წლის 31 დეკემბერი.

პრემირებული ნარკვევები ჟურნალში გამოქვეყნდება.

ნარკვევები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. № 8, ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქცია.

ნარკვევები გაგზავნეთ დეკეზით. ცალკე კონვერტში მოათავსეთ ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ამ დღეებში თიანეთის კულტურის სახლში მკითხველებმა შეხვედრა მოუწყეს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს პოეტ ი. ონნეშვილს.

საღამო გახსნა პარტიის თინანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. მგელიაშვილმა, „. ონნეშვილია შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა პედაგოგიური კაბინეტის გამგემ ა. ობგაიძემ.

ი. ონნეშვილმა დამსწრეთ გააცნო თავისი შემოქმედებითი გეგმები და წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი.

საბჭოთა მსახიობები რუმინეთში

ნოდარ ანდღულაძის წარმატება

ბუქარესტი, 13 ნოემბერი. (საკ. დესკ). გუშინ ისიში გასტროლები დაიწყო რუსეთის სფსრ დამსახურებულმა კოლექტივმა ბეთჰოვენის სახელობის კვარტეტმა. რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა ვ. ბორისოვსკიმ, ვ. შირინსკიმ, ს. შირინსკიმ და დ. ცივანოვმა შეასრულეს ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკისა და შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები. საბჭოთა მსახიობებს რუმინელი მსმენელები გულთბილად შეხვდნენ.

დიდი წარმატებით მიმდინარეობდა ა. აგრესკვე საბჭოთა პიანისტის გ. მირვისისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მომღერალ ნოდარ ანდღულაძის გასტროლები.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პატარა რწყილი

ᲘᲒᲖᲐᲕᲘ

ერთი რწყილი შემომიჩნდა,
სულ პატარა რწყილი;
დამიკარგა მოსვენება
და დამიფრთხო ძილი.

ვცდილობ და ვერ შემიპყრია,
აქეთ-იქით დასტის...
მივატოვე ჩემი ბინა,
მივატოვე ტახტი.

ვსთქვი: ახლა კი ვერ
მომაგნებს,
მივწექ ჩემთვის წყნარად;
ჩამთვლიმა და უცბად რწყილმა
ნემსი გამიყარა!

რა ყოფილა ეს პაწაწა,
რა ყოფილა რწყილი;
დამიკარგა მოსვენება
და დამიფრთხო ძილი!

ზოგიერთი რწყილსა ჰბაძავს,
დახტის, დაწანწალებს;
სადმე ჩაგისაფრდება და
გიკბენს, გაგამწარებს!

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲖᲔ

საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია ნართების ეპოსზე

დღეს, 14 ნოემბერს, სოხუმში მუშაობას იწყებს საკავშირო-სამეცნიერო ფოლკლორული კონფერენცია, რომელიც მიძღვნილია კავკასიის ხალხთა ნართების ეპოსის პრობლემებისადმი.

კონფერენცია მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ. წაკითხული იქნება 30-ზე მეტი მოხსენება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სოხუმში ჩამოვიდნენ მეცნიერი ფოლკლორისტები, ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, თბილისიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, ადიღეადან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან, დაღესტნიდან.

ამასთან დაკავშირებით ქვემოთ ვბეჭდავთ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ცნობილი სპეციალისტის, პროფესორ ძსენია სიხარულიძის წერილს, რომელშიც ლაპარაკია ნართების ეპოსის რაობასა და მნიშვნელობაზე.

კავკასიის ხალხთა მდიდარ და მრავალფეროვან საგმირო ეპოსს ამშვენებს ნართებზე თქმულებათა რამდენიმე ციკლი. შორეული წარსულიდან მომდინარე ეს თქმულებანი ახლაც გვხიბლავენ აზრის გასაოცარი სიღრმით, ამაღლებული იდეით და ფორმის ლაპიდარობით. ნართების ეპოსში მიმზიდველი უშუალობით არის ასახული კავკასიელთა მებრძოლი სული, შეურიგებლობა მჩაგვრელებისადმი, არაჩვეულებრივი უნარი შემართებისა და შეუნელებელი ლტოლვა სიმართლისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ.

მოხდენილი და შეუთვალი ვაჟკაცების — ახსარისა და ახსარტაგის, სოსრუყოს ანუ სოსლანისა და ბატრაძის, ბრძენი და უმშვენიერესი ძერასასა და სათანას მომხიბვლელად დახატული პოეტური სახეები, ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლით გადმოცემული ყოფიერი გარემო თუ ხალხთა მსოფლმხედველობა ნართების ეპოსის ღრმა რეალიზმის მაჩვენებელია. ამიტომ თქმულებებს ნართებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეალიზმის როგორც მხატვრული მეთოდის ისტორიისათვის.

უჭკნობ მშვენიერებას და დიდ შემეცნებით ღირებულებას ანიჭებს ნართების ეპოსს ისიც, რომ მისი გმირები თუმცა მითიურ სამოსელში არიან გახვეულნი, მაგრამ წარმოშობით, ცხოვრების ხასიათითა და მოქმედებით მეტად ადამიანური არიან. ცეცხლის ალზე ამხედრებული ცის მემკვიდრე მჭედელი კურდალაგონი, ზღვათა მფლობელი მაქციერა დონბეტერი, მტრედის სახით მოვლენილი, ჯადოსნური ძალის ოქროსთმიანი ულამაზესი ძერასა, ნაროების დიდი დედა, ბრძენი, მარად ახალგაზრდა და მშვენიერი სათანა, სოსრუყოა და სხვანი ხალხის სამსახურში არიან ჩაყენებული. ისინი მოქმედებენ და იბრძვიან ხალხის საკეთილდღეოდ. ამაშია ამ უკვდავ პოეტურ სახეთა დემოკრატიზმი.

ახსარტაგი და ძერასა, სათანა, ურიზმაგი და სოსრუყო ანუ სოსლანი და ნართების ეპოსის სხვა პერსონაჟები თანაბრად მშობლიური და საყვარელი არიან ოსეთის, ყაბარდოს, ადიღეს, აფხაზეთის, ბალყარეთის, ყუმიხეთის და კავკასიის სხვა მკვიდრთათვის. თქმულებანი ნართებზე მძლავრი შენაკადია კავკასიური ხალხური პოეტური შემოქმედებისა.

გმირ ნართებზე თქმულებათა შექმნის ადგილის დადგენა ნართოლოგიის ერთი აქტუალურ საკითხთაგანია. წარმოშობით რომელ ხალხსაც უნდა ეკუთვნოდეს მშვენიერი თქმულებანი ნართებზე — სეთის, ძირითადი მოტივები ზოგადსაკაცობრიოა. წმინდა ეროვნულ ღირსებებთან ერთად ამოთაც ამდიდრებენ ეს თქმულებანი კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და საპატიო ადგილს პოულობენ მსოფლიო ეპოსში.

დაბირისპირება კეთილისა და ბოროტისა, პირველის გამარჯვება, ადამიანთა კეთილდღეობისათვის ბრძოლა, ფაქიზი სიყვარული, უანგარო მეგობრობა, კაცთმოყვარეობა და სხვა მაღალი ადამიანური ღირსებანი ინტერნაციონალური მოტივებია, რაც საერთაშორისო ხასიათს აძლევს ნართების მდიდარ ეპოსს. მეგობრისათვის თავდადების ნათელი მაგალითია სოსლანის მიერ საბედისწერო მომენტში მტერთაგან მოკლული მეგობრის ნეშტით შვიდი მდინარის გადალახვა მისი გაცოცხლების მიზნით. მარად დარჩება კაცთმოყვარეობის ნიმუშად სოსლანის მიერ შიმშილით მომაკვდავი კაცის დაპურება და ხსნა, არწივის კლანჭებიდან ქვრივი ქალის შვილის გამოგლეჯა, მაშინ როცა იგი მიეშურებოდა მტრის ხელში ჩავარდნილი დედის გამოსახსნელად. ამგვარი მაგალითებით სავსეა ღრმა ჰუმანიზმით გამსჭვალული ნართების ეპოსი.

ნართულ სიუჟეტებს, ეპიზოდებსა და მოტივებს მრავალი პარალელი და ანალოგია შეიძლება დაეძებნოს ქართულ ხალხურ პოეტურ შემოქმედებაში. ეს პარალელები და ანალოგიები სხვადასხვაგვარია. ხშირ შემთხვევაში მსგავსება ტიპოლოგიური ხასიათისაა, ე. ი. მსგავსი მოტივები დამოუკიდებლად არის შექმნილი სხვადასხვა ხალხში. ხშირად ისინი ერთი საერთო ფონდიდან მომდინარეობენ და დამოუკიდებელი გზით განვითარებულან, ზოგჯერ კი შემოქმედებითი სესხებაც, ე. ი. გენეტიკური მსგავსებაც არ არის გამორიცხული. ჩვენ ახლა არ ვაყენებთ ქართული ხალხური სიტყვიერების ნართულ ეპოსთან ურთიერთობის დიდ და საკმაოდ რთულ საკითხს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნართული ეპოსის შესწავლა მსოფლიოს ხალხთა და კერძოდ ქართულ ხალხურ ეპოსთან ურთიერთობის გათვალისწინებით არის შესაძლებელი.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებასთან ნართული ეპოსის დიდი სიახლოვის ორიოდე მაგალითზე შევჩერდებით. ღმერთმებრძოლობის მოტივები თქმულებებში ბატრაძეზე, რაც ბუნების უხეშ ძალთა ადამიანთათვის დამორჩილების დიდი სურვილის პოეტური გამოხატულებაა, ყოველთვის მოგვაგონებს ქვეყნად ცეცხლის მომტან და უსისხლო პურისათვის მებრძოლ ამირანს. სირდონის მიერ ფანდურის გაკეთება ნართების მიერ ვერაგულად მოკლული მაკი შვილის ძარღვებისაგან მსგავსია როსტომიანის მოტივისა — ცბიერების შედეგად დაღუპული ზურაბის თითებისაგან ჭიანურის გამართვისა.

განსაკუთრებით აქტუალურია ნართების ეპოსის ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებთან ურთიერთობის საკითხი. ქართული ზღაპრების ოქროსთმიანი გულთმისანი მზეთუნახავები და ქომაგი მოხუცი ქალები თავიანთი ხასიათითა და მოქმედებით გვაგონებენ სათანას და ნართული ეპოსის სხვა პერსონაჟ ქალებს. მაქციერობა, მკვდრის გაცოცხლება, მიცვალებული ქალის განაყოფიერება და მრავალი სხვა მოტივი ნართულ ეპოსს ანათესავებს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხთა ზღაპრებთან. ნართების ეპოსი ერთი ნათელი მაგალითია ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის გენეტიკური კავშირისა. მისი ურთიერთობა ეპიკური ციკლის სხვა თქმულებებთან, საისტორიო ნაწარმოებებთან, ჯადოსნურ ზღაპრებთან, ლირიკულ სიმღერებთან და სხვ. ნართოლოგიის საკვანძო საკითხებია.

ნართულ ეპოსს დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს ის, რომ მასში ნათლად არის ასახული ადამიანთა საქმიანობის ისეთი ძირითადი სახეები, როგორიც არის მონადირეობა, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. მეურნეობის სახეთა მრავალფეროვნება ნართულ ეპოსში მისი ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის დადასტურებაა.

განუზომელია ნართების ეპოსის შემეცნებითი ღირებულება. მასში ნათელი პოეტური გამოხატულება ჰპოვა სამშობლოს სიყვარულის დიადმა გრძნობამ, ხალხისათვის სამსახურის დიდმა მოვალეობამ, ხალხთა მეგობრობამ, ადამიანის მაღალგონიერებამ, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლამ, სიცოცხლისადმი დიდმა სიყვარულმა. მთლიანად ნართების ეპოსი ერთი დიდი და უწყვეტი სიმღერაა სიმართლეზე, ბედნიერებაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, თავისუფლებასა და მშვიდობაზე.

ძსენია სიხარულიძე,
პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

საგჭოთა ნაკრების დაგრუნება

იტალიისა და სსრ კავშირის ნაკრებთა მატჩის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებმა ერთი დღე დაჰყვეს რომში და გაეცნენ იტალიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

12 ნოემბერს სამშობლოში დაბრუნდა ჩვენი ფეხბურთელების ერთი ჯგუფი, დანარჩენები კი გუშინ. იტალიელებთან გამარჯვებულ ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

ნაკრების წევრები დღეიდან თავიანთ კოლექტივებს დაუბრუნდებიან და მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მატჩებში.

სსრ კავშირის, როგორც ცნობილია, ევროპის თასზე მეოთხედფინალური მატჩები ექნება შვეიცარიის გუნდთან. ორივე ეს შეხვედრა ნავარაუდევია მოეწყოს მომავალი წლის მაისში.

Ზ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მოსკოვში გარდაიცვალა გამოჩენილი სპეციალისტი რადიოტექნიკის დარგში, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილი მოადგილე ზურაბ ვლადიმერისძე თოფურია.

ზ. თოფურია დაიბადა 1905 წელს მოსამსახურის ოჯახში. 1931 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრომექანიკური ფაკულტეტი.

1930 წლიდან ზ. თოფურიას უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად მოეწყო დიდი მოცულობის სამუშაოები მოკლეტალღიანი მაგისტრალური რადიოკავშირის გადაცემების დაპროექტებაში, კონსტრუირებასა და მშენებლობაში. მანვე აუშენა თბილისში მძლავრი რადიომაუწყებელი სადგური. ასეთივე მოცულობის რადიომშენებლობა განახორციელა მან ქ. ბაქოში.

წლების განმავლობაში ზ. თოფურია, როგორც მთავარი ინჟინერი, ხელმძღვანელობდა თბილისის რადიოცენტრს, სადაც მას მიენიჭა კავშირგაბმულობის ოსტატის საპატიო წოდება.

1940 წელს ზ. თოფურია დაინიშნა ქ. მოსკოვის ოქტომბრის რადიოცენტრში მშენებლობის ტექნიკურ ხელმძღვანელად. შემდეგ გადმოპყავთ თბილისში და დანიშნავენ თბილისის რადიოკავშირის დირექციის მთავარ ინჟინრად.

დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც განახორციელა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საქუშაოები რადიოტექნიკის დარგში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ 1946 წლის აგვისტოში ინიშნება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ერთ-ერთი ობიექტის მთავარ ინჟინრად და მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1949 წელს ზ. თოფურია დაინიშნა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 1958-დან 1962 წლამდე იგი იყო საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარე რადიოსიხშირეთა დარგში.

ზ. თოფურია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი იყო. მან დიდი ღვაწლი დასდო საბჭოთა რადიოტექნიკის განვითარებას. ახალი რადიოაპარატურის დამუშავებისათვის 1951 წელს მას მიენიჭა სახელმწიფო პრემია. ზ. თოფურია 1950 წლიდან იყო სკკპ წევრი, დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და მედლებით.

კომუნისტური პარტიის ღირსეული შვილის, გულისხმიერი ადამიანის ზურაბ ვლადიმერის-ძე თოფურიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ“

გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშების დასკვნითი შეხვედრები ფეხბურთში იმ გუნდებისათვის, რომლებიც პირველი-მეათე ადგილებისათვის იბრძვიან.

დღეისათვის გუნდების უმრავლესობას გამართული აქვს 30-32 თამაში. ლიდერობას კვლავ თბილისის „სინათლე“ ინარჩუნებს, რომელსაც 32 თამაშიდან 44 ქულა აქვს. ამდენივე შეხვედრიდან ტყიბულის „მეშახტე“ 42 ქულა აქვს და მეორე ადგილზე იმყოფება. მესამე ადგილზეა ახალციხის „მესხეთი“ (30 თამაშიდან 41 ქულა), მეოთხეზე — ქუთაისის „იერეთი“ (27 თამაშიდან 39 ქულა), მეხუთეზე — მახარაძის „მერცხალი“ (32 თამაშიდან 39 ქულა).

განეფოს ტურნირზე

ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა დიდი სპორტული პაექრობის მოწმეა. აქ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს განეფოს ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობაში 51 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის გუნდების მონაწილეობით.

როგორც ვიუწყებოდით, წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟები. მათ გუნდური პირველობა მოიპოვეს. ვაჟებს არც ჩვენი ქალები ჩამორჩენენ და მათაც უძლიერესის სახელი დამკვიდრეს.

მძლეოსანთა ასპარეზობაში ქალთა შორის ყველა გაახარა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენის **სინ კან დანის** ბრწყინვალე შედეგებმა. 200 მეტრზე რბენაში მან პირველი ადგილი დაიკავა (შედეგი — 23,5 წამი), ხოლო 400 და 800 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარა. პირველი დისტანცია გაირბინა 51,4 წამში, მეორე — 1 წუთსა და 59,1 წამში.

დიდი რაულერი

ვაშინგტონი, 12 ნოემბერი (საკდესი).